



საპოლიტიკო საზოგადოებრივ და სალიტერატურულ ნახაზებშიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 31

ივლისი 30 1900

№ 31

შინაარსი: მსოფლიო გამოფენა პარიჟში ლ. დ—სა.—სხვა-და-სხვა აძებები.—„კვალის“ კორექსიონდენციები.—ჩინეთის აზებები.—ილია ხონელის ჩამოსვენება ხონში და დაკრძალვა ვ. შავდიასი.—სიტყვა რომანოზ ფანცხავასი.—ახალი ნანა, ლექსი კ. გოგოლაძისა.—ქიათურა S—II.—ღია წერილი კ. კიკიანისა.—მუშტაიდში ნატოსი.—წერილი რედაქციის მიმართ.—„კვალის“ ფოსტა და განცხადებები.


ამ ნომერთან ერთად ხელის-მოგზავლებს ურიგდებათ გიორგი წამბათელის სურათი

მსოფლიო გამოფენა პარიჟში

(ერთი თვალის-გადავლებით)

ბროკადეროს გამოფენაზე უმთავრესი ადგილი უჭირავს საფრანგეთის კოლონიებს და საფრანგეთის პროტექტორატის (მფარველობის) ქვეშ მყოფ ქვეყნებს. ესენია: 1) აფრიკაში: ალჟირი, ტუნისი (პროტექტორატი), სენეგალი, გინეი (ნაწილი), კონგო (ერთი ნაწილი), დასავლეთის სუდანის, დაჰომეი, რეუნიონი, კუნძული მადაგასკარი; 2) აზიაში: ინდოსტანის ერთი კუთხე (508 კილომეტრი სიგრძით); ინდო-ჩინეთის ტონკინი, ანამი (პროტექტ.) კამბოჯი

(პროტექტორატი), კოჩინჩინა და სიამი (ერთი ნაწილი); 3) ამერიკაში: სენ-პიერი, მიკლონი, მარტინიკი, გვადელიუპი და გვიანა (guyane); 4) ოკეანეში ახალი კალედონია. ამათგან უფრო მდიდრულათ არის წარმოდგენილი ალჟირი და ტუნისი. სხვა ქვეყნების კოლონიებს შორის მეტ ყურადღებას იქცევს როგორც გარეგნობით, ისე შინაარსით ინგლისის კოლონიები. ესენია: ინდოეთი, კუნძ. ცეილონი, დასავლეთის ავსტრალია. ყველა აქ დასახლებულ ქვეყნებს ცალკე პავილიონები აქვთ, ადგილობრივ არხიტექტურის სტილზე აშენებული. გარეგნობით წარმოდგენენ ან ტაძარს, ან კოშკს და



ტრიუმფალური არკა მსოფლიო გამოფენაზე.

საქართველო

ან რომელსამე ისტორიულ შენობას. შიგ წარმოდგენილია საერთოთ ბუნება: მცენარეულობა. ცხოველები, ნიადაგი, მინერალები; ეთნოგრაფია: მცხოვრებთა ტიპები, მათი ჩაცმადახურვა, სახლები, ავეჯეულობა, ჭურჭელი, იარაღი; სარწმუნოება (ღმერთები და სამლოცველობები). თავისთავათ ცხადია, რომ ყველა ესენი სავსებით არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი, არის მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელი ნიმუში. ზოგიერთ პავილიონთან მოთავსებულია აგრეთვე არხეოლოგიური ნაწილი, როგორც მაგ. ალჟირის პავილიონთან: რომაელ-ბერძენთა სკულპტურული ნაშთები ალჟირში ნაპოვნი; აპოლონის (მე-V-თე საუკუნეში ქრ. წინ გაკეთებული ქანდაკების ასლი) „სარკოფაგი“ (საფლავით-კუბო) მე-III-მე საუკ. ქრ. შემდეგ. და სხ. ამგვარები. ანუ კიდევ, ტუნისის პავილიონთან წარმოდგენილია იქაურ ნათხარებსა და ნანგრევებში ნაპოვნი (ტუნისი მდებარეობს იმ ადგილებში, სადაც ძველათ კართაგენი ჰყვავდა), წარმოდგენილია ძველ ბერძენ, რომაელ, ფინიკიელთა კულტურის მოწმე ნაშთები სხვა-და-სხვა საუკუნეებიდან (მე-VII, VI, V, საუკ. ქრისტეს წინათ, I, II და III ქრ. შემდეგ საუკუნეებიდან). სხვათა შორის იქ არის სასაფლაოების ნაშთები: სარკოფაგი, მავზოლეი (ოთახის ანუ კოშკის მზგავსი ძველი მიცვალებულთა დასაკრძალათ), ნეკროპოლი (აკლდამა); სასაფლაოს ქვებზე ბერძენულ, ლათინური წარწერებია; სასაფლაოში ნაპოვნი თიხის ქილები, ჯამები, ლიტრები, საქრაქეები; სხვა-და-სხვა ლითონის ბეჭდები, სამაჯურები, საყურეები ძვირფასი თვლებით, ფერადი კენჭების და ღვინჭილების კრიალოსნები პუნიაური ომების ეპოქიდან; სკულპტურა, არხიტექტურის ნიმუშები, თეატრის, ტაძრების, ბაზილიკის (ბიზანტიურ სამეფო სასახლე) ნანგრევები.


შემდეგ, პავილიონებში წარმოდგენილია ძველი და ახალი მეურნეობა, ძველი და ახალი მრეწველობა, სამუშაო იარაღები; ვაჭრობა: სხვათა შორის ის საქონელი, რომელსაც მეტროპოლია ამზადებს კოლონიების მკვიდრთა გემოვნების მიხედვით; და სწავლა-განათლება (მოსწავლეთა რვეულები: წერის, ხატვის, ანგარიშის, სასწავლო ნივთები, ხელ-საქმე და სხ.). თვითოველ პავილიონში უმთავრეს ყურადღებას იქცევს ერთი ან რამდენიმე დარგი წარმოებისა. მაგ. „კანადაში“ მეურნეობა, ბალოსნობა, ხე-ტყის წარმოება, იქვეა ღიღი, თანამედროვე სამეურნეო იარაღები; „ავსტრალიაში“ მთა-მადნის წარმოება (ოქრო, სპილენძი, ქვა-ნახშირი და სხ.); „ინდოეთში“ თამბაქო, ჩაი, ინდიგო (საღებავი), ხეზე წარმოება საოცარი ჩუქურთმით

(ხეზე თითქმის მთელი მოთხრობებია ამოხატული ინდუსების ღურგლებისაგან); „ცეილონზე“ სხვა-და-სხვა ძვირფასი ქვები, მინერალები; „ინდო-ჩინეთში“: ბრინჯი, ბრინჯის აღკოვლოლი, ჩაი, ყავა, კაკაო, კოკოსის ზეთი, ბამბა, აბრეშუმი, თამბაქო, ოპიუმი, დაწნული ავეჯეულობა; „გვადელიუპ, მარტინიკსა და რეუნიონში“: შაქარი, ყავა, ვანილი, ბანანი; „ახალ-კალედონიაში“: კაუჩუკი, თამბაქო, ლითონები (სპილენძი, ნიკელი, რკინა, მაგნეზია, ცინკო, ოქრო); „კონგოში“: ხე-ტყე (შავი ხე, წითელი ხე, მუხა და სხ.). აფრიკის სხვა პავილიონებში და განსაკუთრებით ალჟირისაში უმთავრესათ გამოფენილია: ხალიჩა, ფარდაგეულობა, ოქრო-მკვდით ნაკერი ქსოვილებანი; ხორბალი, სიმინდი, ბრინჯი, თამბაქო, ღვინო, ფორთოხალი, ლიმონი, ხურმა, ლეღვი; სტატისტიკური ცნობები ცხვრის, ღორის, და ძროხის მოშენების შესახებ; „ტუნისში“ თითქმის იგივეა და შესანიშნავი, მერინოსის მატყლი (აბრეშუმის მაგვარია).

შენდა შევნიშნათ რომ ყველა პავილიონებში ბლომათ არის წარმოდგენილი სულადი (ხორბალი, ქერი, ფეტვი, სიმინდი და სხ.). ყველგან ვხედავთ აგრეთვე ჩვენ „ეროვნულ საქმელ“ ლობიოს. საზოგადოთ ერთი პავილიონის გამოფენა ძალიან ჰგავს მეორისას. კერძოთ ქართველი მნახველი მეტათ საინტერესო მზგავსებას ჰხედავს კოლონიების და თავის ქვეყნის კულტურის შორის. გამოფენილი საგნებიდან ზოგიერთი საოცრათა ჰგავს ქართულს (განსაკუთრებით აფრიკის პავილიონებში). აი სანიმუშოთ რამდენიმე: „საომარი იარაღები:“ ფარი, აბჯარი, ხმალი, ხანჯალი, საპირის წამლე, ტალიანი თოფები, ერთ აბესინელ მეომარს აცვია „ქართული“ ახალუხი და წითელი ხავერდის ქულაჯა, მხოლოდ პაწაწა კალთებიანი; 2) სამუშაო იარაღები: ქვიანი, ნამგალი, ფიწალი, კვერი, თოხი, ცული, ნაჯახი, წერაქვი, აგრეთვე ურემი, (მცირეოდენი განსხვავებით, უღელი საქონელს—ზოგ ქვეყანაში—აბეურით აბია რქებზე); საქსოვი ხელსაწყობიდან ჯარა. 3) ჭურჭელი: თიხის ლიტრები, ხელადები, ქილები, წყლის სასმელი გოგრები, ხის კასრები, ხოკრები, დაწნული კალათები და სპილენძის ქვაბები; 4) სამუსიკო საკრავები: დოლი, ზურნა, დაირა, დიპლიპიტო, ქიანური, ჩონგური, უენო სალამური. ჩამოთვლილი საგნები ძალიან ხებრულათ და ულაზათოთ არის ნაკეთები; სხვა-ფრივ განსხვავება ძალიან ცოტაა. არის რასაკვირველია, ბევრი ისეთი საგნები, რაც ჩვენებურს ვერაფრით მოგაგონებთ. მაგ. თუნდ სამუსიკო საკრავებში ერთ გვარი „პიანო“. ორ ჯოხს შუა გაბმულ ბაწარზე. გაკეთებულია 13-დან 20-მდე ხის

ფირფიტა. ზოგან ესენი დაკრულია ციგის მავგარ ხეებზე, სხვან, ფირფიტებს უკან გარიგებულია გოგრის ყელეები (როგორც არის მაგ. ტრანსვაალის კაფრების „პიანო“), ფირფიტები ისე ოსტატურათ არის გათლილი, რომ როცა ურაკუნებთ სხვა-და-სხვა ხმას იღებენ.

რაც შეეხება სარწმუნოებას, აქ, რასაკვირველია, მზავსებას ვერა ვნახავთ, იმ აზრით, რომ კოლონიების მკვდრთა უმრავლესობა „ურჯულონი“ (არა ქრისტიანენი) არიან. მარა მათ მორჯულებას ძალიან ცდილობენ ევროპიელი მისიონერები. აქვე აღვნიშნათ, რომ ტროკადეროზე საფრანგეთის მისიონერებს ცალკე პავილიონი აქვთ, სადაც გამოფენილია მათი მოღვაწეობა კოლონიებში და შორეულ ქვეყნებში. ისინი თურმე მუყაითათ ჰქადაგებენ კათოლიციზმს, პროტესტანტიზმს თუ კლერიკალიზმს, რაც დღეს ერთი და იგივეა. პავილიონში წარმოდგენილია მისიონერებისაგან გახსნილი სკოლები და საავათმყოფოები და სხვათა შორის ასეთი



ძველი პარიჟი მსოფლიო გამოფენაზე.

სცენებია: ერთგან (კონგოში), ზღვის პირათ, მისიონერს წინ უზის ორი შავ-კანიანი კონგოელი და კატეხიზმს უხსნის; მეორეგან, ჩრდილოეთის ერთ ქვეყანაში, მისიონერი მარხილით მიდგომია ერთ ქობს, რომლის მცხოვრებნი, ბუნების შეიღნი, დაფეთიანებული წამოცვინულან ზეზე და გაშტერებული შეცქერიათ უცნობ პირს. უკანასკნელი ვეებერთელა ბეწვიან ქურქში გახვეული და თოვლით შებურული მოჩვენებასავით დგას მათ წინ; მესამეგან (ტონკინში) მისიონერს მოწაფენი თავსა კრიან ხმლით. ამ ჯგუფს ზედ აწერია: „მქადაგებელს თავსა კრიან ველურნი ქრისტიანობისა და საფრანგეთის სიძულვილის გამო“. (საფრანგეთმა ნეტა რაღა დააშავა? მარა მისიონერები სხვანაირი, ჰკვიანი ხალხია, უამბოთ არ ახსენებენ საფრანგეთს). თუმცა მისიონერები სიცოცხლეს არა ზოგავენ თავისი მოძღვრების გასა-

ვრცელებლათ—მართალია ყოველთვის მათ თავს არა კრიან და ზოგჯერ საკმაო სიმდიდრესაც იძენენ, რადგან ძალიან ხშირათ იგივე მისიონერები კომერციის ავენტებიც არიან, როგორც წინეთ, სამართლიანათ შენიშნა ერთმა დეპუტატმა პარლამენტში—მარა ასეა თუ ისე, კოლონიების მკვიდრთა და სხვა უკან ჩამორჩენილ ხალხთა შორის, დღეს მაინც ისევ ვხედავთ: რამდენათმე ფეტიშიზმს (ბუნების სხვა-და-სხვა საგნებისა თუ არსებათა გაღმერთება), შემდეგ ისლამსა (მაჰმადიანობა) და ბუდიზმს

(უკანასკნელი განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთში). ბუდიზმი, როგორც ვიცით, ასწავლის: ადამიანის სიცოცხლე გაუთავებელი ტანჯვაა. ეს წარმოდგება ვნებისაგან, რაც თან-შეზრდილი აქვს ადამიანს; ამიტომ ტანჯვისაგან გასათავისუფლებლათ ერთათ ერთი საშუალებაა—თვით სიცოცხლისაგან გათავისუფლება; მაშასადამე ადამიანის უწმინდესი მიზანი და უალრესი დანიშნულება უნდა იყოს თავის-თავის უარის ყოფა, სრული არარაობა

(„ნირვანა“). მოგეხსენებათ, ამ გვარ სარწმუნოებათა შეუპოვებელი მტერია თანამედროვე საზოგადოებრივი მეცნიერება, რომელიც ასწავლის, რომ ადამიანის ტანჯვათა მიზეზია არსებული საზოგადოებრივი პირობები, ხოლო როცა ეს შეიცვლება თანხმათ მოწინავე კაცობრიობის მოთხოვნილებათა, მაშინ სიცოცხლე იქნება სიამოვნება, ბედნიერება და ამ ბედნიერების დაუშრეტელი წყარო—თვით საზოგადოებრივი ცხოვრება.

უკანასკნელი სიტყვა. ჩვენ გადავხედეთ ტროკადეროს გამოფენის უმთავრეს ნაწილს. აქ აღარ შეეჩრდებით ისეთ პავილიონებზე როგორც არის მაგ. კოლონიალური პრესის პავილიონი, სადაც წარმოდგენილია კოლონიალური კითხვები პრესაში, სხვა-და-სხვა კომპანიების, თუ სწავლულთა კვლევაძიება კოლონიებში საკომერციო მიზნით; ანუ კერძოთ საზოგადოების „ფრანგთა კავშირის“ პა-

სხვა-და-სხვა ამბები

ვილიონი, სადაც ნაჩვენებია მოღვაწეობა ამ საზოგადოების, რომლის მაზანია ფრანგული ენის გავრცელება კოლონიებში, ვინაიდან ფრანგული ენის გავრცელება, აცხადებს თვით საზოგადოება, ჰნიშნავს ფრანგული საქონლისათვის, ვაჭრობისათვის კლიენტების (მუშტრის) შექმნასა;¹⁾ არ შეეჩერდებით არც საფრანგეთის კოლონიების სამინისტროს პავილიონზე, სადაც წარმოდგენილია ოფიციალური დოკუმენტები შესახებ კოლონიების მართვა-გამგეობისა, საფოსტო თუ სატელეგრაფო მიმოსვლისა და სხვა; გადავიდეთ პარდაპირ მარსის მოედანზე. მხოლოდ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ შემდეგი: ტროკადეროს, ისე როგორც დანარჩენ ნაწილთა გამოფენის, დათვლიერება ერთ საზოგადო შთაბეჭდილებას იძლევა. სახელდობრ, რომ ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორემდე — აფრიკაში, აზიაში, ავსტრალიაში, ამერიკაში თუ კუნძულებზე — ყველგან დღევანდლამდე მოსულ ხალხებს (ასეუბითათ ერთი და იმავე კულტურული გზით უვლია — რასაკვირველია სხვა-და-სხვა ამ გზის მანძილი და მისი ეტაფები — და დღეს, სადაც და რომელ სალხსაც კი სასიცოცხლო პირი შერჩენია, ყველგან და ყველა, ნებისთ თუ უნებლიეთ და მეტ-ნაკლების სიჩქარით ხელსა ჰკიდებს თანამედროვე მრეწველობას და მით კისერსა ჰყოფს კაპიტალიზმის უღელში. უკანასკნელი აზრის დასამოწმებლათ საკმაოა თუნდ მარტო ის მოვლენაც, რომ გუშინდელი ეგრეთ წოდებული და არა წოდებული ველური ხალხები პარიზის, ევროპის მსოფლიო გამოფენაზე არიან გამოქიმულნი. ეს არ არის გართობა და თამაშობა, ეს არის საგულისხმიერო ფაქტი. პარიზი და ევროპა ისე არავის არ მიიკარებს და არ მიეკარება, რომ თავისი ქუდი არ დაჰხუროს და თავის სალამურზე არ აათამაშოს. რაც უნდ იყვიროთ, რაც უნდ იჯავროთ აქ; ვერას გახდებით, ვერას გახდება თვით „დიდი მუშტი“ც; ადრე თუ გვიან მაინც უნდა დამორჩილდეთ. აქ ხსნა მხოლოდ ერთია: რაც შეიძლება მალე ისწავლოთ ევროპიული სალამურის ჰანგები, რადგან ამ ჰანგებშია ის საიდუმლოება, რითაც დაჩაგრული კაცობრიობა დაიმონავებს გრძნეულ ძალებს, რომელსაც დღეს გაბატონებული ვაცობრიობა ფლობდობს. და აი მაშინ მოისპობა ის ტანჯვებიც, რომლის გამო ბუდაც კი ტირის, მაშინ ყველა გატაცებით და უშიშრათ დაეწაფება სიცოცხლეს.

ლ. დ.

¹⁾ ეს საზოგადოება დასახლებული მიზნის მისაღწევათ აარსებს კოლონიებსა და პროტექტორატის ქვეშ მყოფ ქვეყნებში სკოლებს, ბიბლიოთეკებს, ჰმართავს ლექციებს და სხ. მას უკვე დაუარაგებია 300 სკოლა; ჰყოლია 236 საპროპაგანდო კომიტეტი და 30 ათასი წევრი.

მაგი ქვის მწარმოებელთა კრება გაიხსნა ქუთაისში 26 ამ თვეს. კრებას თავმჯდომარეობს სამიწათ-მომქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან დანიშნული სამთო ინჟენერი ბ. ჩენგერი. წევრთა რიცხვი 100 აღემატება. ბევრია ძალიან წვრილი მწარმოებელი.

ლაზარევის აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტის პროფესორი ბ. ალ. ხახანაშვილი ამ ზაფხულს სამეცნიერო აზრით იტალიაში იყო წასული იქაურ არხივების გასაშინჯათ. ბ. ხახანაშვილს უკვე დაუმთავრებია ვატიკანის (რომში) არხივის დათვლიერება და დიდ ძალი მასალა შეუგროვებია საქართველოს ისტორიისათვის. ბ. ხახანაშვილს იქვე ამოუჩენია ერთი ფრანგული წიგნი, რომელშიაც საქართველოს რუსეთთან შეერთების ტრაქტატია თურმე მოყვანილი. ამ ტრაქტატებში დღემდე ორი უცნობი მუხლიც ამოუჩენია.

რკინის გზების მკურნალთა საზოგადო კრებას შუამდგომლობა აღუძრავს გზათა მინისტრის წინაშე, რომ რკინის გზის ბუფეტებთან იაფ-ფასიანი სასაღილოები იქნას დაარსებული რკინის გზის წვრილ მოსამსახურეთათვის.

ახალი განკარგულების ძალით, ლოკომოტივების დებოს უფროებს ნება არა აქვთ გაატანონ მატარებელს ის მემანქანენი, რომლებიც მატარებლის წასვლის ორი საათის წინეთ განაცხადებენ, რომ დაღალულები არიან და მოსვენებას საჭიროებენ.

ბ. რობის რწმუნებულს, ინჟენერ ბლაშს, მიუმართავს ფოსტის უფროსისათვის თხოვნით, რათა გაყვანილ იქმნას ტელეფონის მავთული განდგილზე (მთაწმინდის წევრი); სადაც ახლა თეატრსა და ფუნქიკულერის სადგურს აშენებენ.

ერთი ხელოსანთაგანის ლ. მაისურაძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი: ქ-ნო რედაქტორო! ჩვენ, თფილისის ხელოსნებმა, გადავიხადეთ ჰანაშვილი ილია ლუკას-ძის ბახტარის სულის მოსახსენებლათ 23 ამ თვეს ქვაშეთის ეკლესიაში და გოხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოუცხადოთ მის ჰირისუფლებს ჩვენი საერთო მწუხარება - ნიქიერი პუბლიცისტის და საჭირო მოღვაწის ილია ხონელის დაკარგვისათვის.

თფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობას უკვე მოუვიდა ბ-ნ ფინანსთა მინისტრისაგან დამტკიცებული, მის მიერ შემუშავებული წესები, თუ რა რიგათა და თანდათანობით უნდა დაუბრუნდეთ ამ ბანკის დამფუძნებლათ ნამყოფთ სადამფუძნებლო წილის ფული. დამფუძნებელნი და მათი მემკვიდრენი, იმედია, არ შეჰხარბდებიან ამ ორიოდ გროშს, ასე მოულოდნელათ მათდა სესარგებლოთ დასაბრუნებელს თფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკიდან, და უმრავლესობა თავის წილხვედრ ფულს საქვეყნო და საერო საქმეს შესწირავს, მხარში ამოუდგება იმ დამფუძნებლათ ნამყოფთ, რომელთაც წელს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებაზე განაცხადეს, რომ ეგ ფული ჩვენი ქვეყნის საერთო საქიროებას მოხმარდესო („ივერია“).

ქუთაისის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისაგან მივიღეთ წერილი, რომელშიაც ამხანაგობა ურჩევს წვირლ მოვაკრეებს, ვისაც პარკის გასახმობათ ფარდულები არა აქვს, რომ ამხანაგობას ჩააბარონ თავისი პარკი გასაყიდათ და ღღეს ფასის ანგარიშში თითო თუმანი მიიღონ, ხოლო გაყიდვის შემდეგ დამატებითი ფასი, რასაც გაყიდულობა მოიტანს. აგრეთვე ამხანაგობა ურჩევს საქმე დაიჭირონ მასთან იმ მოვაკრეებმაც, რომლებიც თუმცა პარკს ახმობენ, მაგრამ საზღვარგარეთ არ გააქვთ და აქვე ჰყიდიან, ამითი ისინი ფუთზე ხუთიდან რვა მანეთამდის აგებენ. ვისაც სურს ამხანაგობასთან საქმე დაიჭიროს, პირადათ უნდა მოელაპარაკოს მმართველს ამხანაგობისას. რადგან ჩვენი მეაბრეშუმეობის უმთავრესი სატკივარი სალი თესლის უქონლობაა, აცხადებს მეაბრეშუმეთა ამხანაგობა, ამისათვის ყოველ ღონის ძიებას უნდა ეხმარობდეთ სალი თესლის მოსაპოვებლათ. ამხანაგობა ამ მიზნით გამართავს თითოეულ ცალკე სოფელში მეაბრეშუმეთა კრებას. ამ კრებას უნდა დაესწონ სოფლის მეაბრეშუმენი და მოიტანონ აბრეშუმის თესლის ძველი კოლოფები. კრებები მოხდება უქმე და საქმე დღეებშიაც; ამ გვარ კრებებზე მოილაპარაკებენ თუ რა ღონე უნდა იძიონ სალი თესლის მოსაპოვებლათ.

25 ივლისს აკურთხეს ბოტანიკურ ბაღში მოსწავლე მუშებისათვის საბაღოსნო სკოლა.

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: საქართველოს შესახებ ევროპიელ მოძღვართა და მოგზაურთა

ცნობები, ვახტანგ მეფის წერილები საფრანგეთის მეფესთან, მეფე ერეკლეს მიწერ-მოწერა ინგლისის წარმომადგენელთან და ქართველი კათოლიკენი, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. შეიცავს 64 გვერდს და ღირს 20 კაპ.

„კეკელის“ კორესპონდენციები

გეგარის საზოგადოება (ზემო იქერეთი). ეს საზოგადოება მდებარეობს 40 ვერსის მანძილზე ქუთაისიდან ახალციხეში მიმავალ გზა-ტაკცილის იქით აქეთ და განიყოფება შემდეგ სოფლებით: წყალთა-შუა, კარიში, აღის-მერე, კაკას-ხიდი, ხელას-ყური, ნებიერეთი, ხანი და თვით ზეგარი. ამ სოფლებში უფრო შესანიშნავია სიდიდით და ადგილ მდებარეობით. ს. ხანი. ის შემოზღუდულია ირგვლივ მიუსვლედი ციციბო კლდეებით. ჭარი აქ სადი და უფლებია. უწინდელ დროს ს. ხანი თავშესაფარი ყოფილა მტრების შიშით გახიზნულ ქართველებისა. ხანი თათრული სახელია. ეს სახელი დაურქმევიათ თათრებს. ერთ მათგანს გადაუხედეს კლდიდან და, რაჭის არ იყოს, წამოუძახია: „ბუნა ხანდურ“? ეს რა სიმკრეაო. ეს რამდენათ მართალია არ ვიცი და ს. ხანი კი ერთი მიუსვლედი ადგილი იყო. არსიდან გზა არ შედიოდა. თუმცა ბაღდადიდან ახალციხეში მიმავალი გზა ეს 30 წელიწადია რაც გაიყვანეს, მაგრამ ის გვერდს უფლის ამ სოფელს და მთაში ტოვებს. ს. ხანში მხოლოდ დღეს შეიყვანეს ახალციხის საურმე გზიდან ტოტი, აქამდის კი ბილიკებზე უნდა ევლო ცხენსასანს თუ ქვეითი მგზავრს. სიმიდი, შუა, ფქვილი (წისქვილები ტუეში აქვთ) ცხენით უნდა მოზიდონ. ეს ერთი ახალ-შემოყვანილი გზა ხელს უწყობს მცხოვრებლებს ხე-ტუე, დვინო (თელიქსერა ჯერ აქ არ არის), თაფლი და სხვა რამეები ქუთაისისა და ახალციხეში გაჭვიდონ. სხვა სოფლები ამ საზოგადოების უზოთაა, არის ბილიკები, მარა შეხვეული ცხენი მალე, მარდათ მიეზიდება საზაღნეს. აქ არ ყოფილა და არც დღესა თავად-აზნაურობა. მიწა მცხოვრებთა საკუთრებს შეადგენდა, მაგრამ დამიჯვნის დროს 1876 წელს ხაზინას მოუგია და ეს 6 წელიწადია, რაც გაყიდვაც აუკრძალავს. აქ ბევრი მადნეულობაა: შავი ქვა, რკინა და სხვა. ს. ზეგარში გოგირდის სამკურნალო თბილი წყალია, და სახაზინო ხარჯით აბანოება გამართული. რადგან ს. ხანის მცხოვრებლები, აგრეთვე ზეგარის საზოგადოების სხვა სოფლების მცხოვრებლებთა უმეტესობა ეკონომიურათ მდიდარია. სწავლა-განათლებას შიშით კეილებიან. ჩაცმა-დახურვა, სტუმრის მ.მ.ა.ზაშურათ დახვედრა, თემობაში წასვლა, აი მათი ცხოვრების დევიზი. ს. ხანში 1898 წლიდან არსებობს ერთკლასიანი საშინისტრო სკოლა, რომელსაც 200 მან. ხაზინა აძლევს და ას მანეთს (იმასაც გაწვავლებით) საზოგადოება იხდის. სკოლის

შენობა აქამდის არ გვეხსოვება და სსწავლებელი კერძო სახლში იყო მოთავსებული. ახლა მომავალში მცონია სკოლას საკუთარი სახლი ექნეს. ცრუ მოწმუნებებს სხვატომ ადგილი უჭირავს აქ; ამანუფლის წამალი ომარა თათარმა (ფართლით ვაჭრობს ს. ხანში) იცის, აიღებს სუფთა სანის, დაიწვეს თავისი მეღბით კიდიან წერას—უფლის, უფლის ირგვლივ, სანამ შუამდის არ მივა და ნაწერით თეფშს არ გამსესეს; წერის დროს ლოცვას დახარავს, დაწერილ ლოცვას ზევიდან წყალს დასსხამს და სანის მორეცხს და ნარეცხს „ამანუფლით“ ვათმეოფს ასმევს. ფასს დიდს არ ახდევინებს — სულ ერთ მანეთს. ომარა, თვალ-ნაკრავის, შეშინებულის და სხვა ვათმეოფობის საწინააღმდეგო წამალსაც აკეთებს ისევე ამ ფასით. გამოლოცვა კიდევ სხვებმაც იციან. უფელა ამავების მოწმენი არიან. ადგილობრივი მღვდლები (ერთი სემინარიელია) და ვითომც აქ არათუერთია. აქ ერთობ ბევრი დღეებია „შეწირული“, ზოგი ქარზე, ზოგი წვიმაზე და ზოგი სეტყვებზე, ხალხი ამ დღეებში არ მუშაობს; დროს ან ქვიფში ატარებს ან ეკვლეისის გაღვანში თავს შეიურის და მასდაათობს. გლეხს სხვისგან რომ თავისი ტკივილი არ გადაეღვას, ხელის თითებში შავი ძაფი ჭვარედინათ გაუხდართავს. აი სსდამდის ადის აქ ქონებრივ-გონებრივი უთანასწორობა!

ა. მითაიშვილი.

ს. შემოქმედა. (ოზურგეთის მაზრა). მას შემდეგ, რაც ქ. ოზურგეთში დაარსდა „შუამავალთა ამხანაგობა“ წვრილ ჩარჩ-ბატონებისათვის სწორეთ რომ შავი დღე დადგა. იმათ ცუდლუტობას ქიშხობას და დაბალ ხალხის მოტყუილებას, ერთ დროს სსხდვარი არ ჰქონდა; რა ზომებს არ ჰქვიდებდნ ხელს, ეს ვაჟ-ბატონები, რომ სოფელი გლეხის ხაწარმები იათ ფასათ მოკვდოთ ხელში! მაგრამ ახლა კი, რაც „შუამავალთა ამხანაგობა“ დაარსდა და დახმარებას უწევს მცხოვრებლების ხაწარმობას, წვრილ ფებს მოდვასწები უკანასკნელ სულს ღვევს და არ იციან, როგორ ემოქმედონ ამხანაგობათა წინააღმდეგ. ახრელ-მასში აბრეშუმის ვაჭრობა იყო გურიის უფელა დაბა-სოფლებში გამწვავებული და ახლა მისი ალაგი თხილმა დაიჭირა. სოფლების აქეთ-იქით მივარდნილ ალაგებში დაცუნტულობენ მატყუარა ჩარჩები და ტკბილი სიტყვებით სურთ ზატრანს როგორმე იათათ თხილი გამოტყუნონ. ამ მიზნის მისაღწევათ ისინი უმეტეს ხაწილათ ისეთ დროს არჩევენ, როცა ოჯახის კაცი სახლში არ არის. ცხადია, ქალები შედარებით ხაკლებათ არიან გამოცდილნი ამისთანაებში და უეტყვლია ჩარჩები თავისას კაიტანდენ, რომ იქაც ხმა არ მისულიყო ამხანაგობა თხილს უიღულობსო. ამისათვის თხილის ფასმა ერთი ორათ აიწია. 2 წლის წინეთ ფუთი თხილი თუ 80 კ. იყო, ახლა თითქმის 2 მანეთამდის ადის.

„შუამავალთა ამხანაგობამ“ ასეთი ნაყოფი დაგვიჩვენა მაგრამ ქალაქის (ოზურგეთის) თვით-მმართველობამ, რომლისაგანაც ცხოვრების ყველაფერს მოველოდით, ყოველი იმედი დაგვიკარგა. რკინის გზების, კომუნაზიების და სხვა დაწესებულებათა ზრექტებით ყურები გამეგვიტყვეს! ახლა ანამც თუ რკინის გზა, უბრალო ბილაგსაც დაგვეკრდობდით. მეტადრე, ერთი გზა, რომელიც ს. შემოქმედს ქ. ოზურგეთთან აერთებდა და რომელიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სოფელეებისათვის, უკანასკნელ მდგომარეობაშია და ღამის მთლათ დატყვარგოს თავისი კვადი. ჩვენი თვით მმართველობის მოქმედება სწორეთ გასაკვირველია.

tusci.

ჩინეთის ამბები

ზორეთულ აღმოსავლეთში ისევ ისეთი ამბებია, როგორც აქამდე იყო. რაც დღე გადის ომი უფრო და უფრო მწვავდება და საშიშარ მიმართულებას იღებს, ასე რომ ზავის ჩამოგდების შესახებ ფიქრი ჯერ შორს უნდა იყოს. თუმცა, როგორც წინეთ გვეჩონდა ნათქვამი, ამ აზრით მიწერ მოწერა სუფევს. 23 ამ თვის დეკემბამ ამბავი მოიტანა, ვითომ ლიხუნჩანგს თავი მოეკლას; მაგრამ, როგორც უკანასკნელ ცნობებიდან ჩანს, ეს ამბავი ტყუილი გამოდგა; შორს მქვრეტელი და გამოცდილი დიპლომატი ცოცხალი და უვნებელია. მოკავშირეთა ჯარმა თუმცა 18 ივლისს გადაწყვიტა პეკინისაკენ წასულიყო, მაგრამ 19 ისევ გააუქმა თავისი გადაწყვეტილება და დაადგინა ახალ ჯარს დაუცადოს და მერე გასწიოს ჩინეთის დედაქალაქისკენ. უცხო სახელმწიფოთა ელჩები ცოცხლები არიან. 20 და 21 ამ თვის ტელეგრამა იუწყება, რომ რუსების გენერალს სახაროვს აუღლია სან-სინი. სან-სინი მოზრდილი სავატრო ქალაქია 12,000 მცხოვრებლებით და სტრატეგიულის მხრით დიდ მნიშვნელოვანი პუნქტია. დაჭერილია აგრეთვე რუსებისაგან ხონ-ჩუნი, რომელიც 25 ვერსის სიშორეზე ძევს რუსეთის საზღვრიდან. აი რას იუწყებიან უკანასკნელი დეკემბები: შანჰაი. 24 ივლისს ამერიკის ჯარის პოლკოვნიკმა მიიღო კონჯერის მიერ ხელ მოწერილი და ადგილობრივ შიკრიკის მიერ მოტანილი დეკემბა: „დაუყოვნებლივ დაგვეხმარეთ. პეკინში არ არსებობს არავითარი მთავრობა, გარდა სამხედრო უფროსებისა, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ გაწყვიტონ უცხოელნი“. პეტერბურგი. გენერალი ორდოვი

იტყობინება 22 ივლისს, რომ მათ აიღეს ხაილარი, სადაც იპოვნეს ბევრი ფქვილი და სხვა სურსათი. აუღიათ აგრეთვე მათი დროშა, პატრონები და თოფები. ლონდონი. პრიტჩარდ-მორგანი დეპეშით თხოვს ლიხუნჩანგს ისარგებლოს თავის გავლენით და მოახერხოს, რომ ევროპის ჯარები პეკინში შეეშვან, აგრეთვე პეკინიდან ევროპიელი წაიყვანონ ტიან-ძინში და იქიდან გამართონ მოლაპარაკება. ლიხუნჩანგმა უპასუხა, რომ ეს შეუძლებელია და თუ მოკავშირეთა ჯარები წინ სვლას განაგრძობენ, მაშინ ჩინელები ომს დაიწყებენ. შანჰაიდან იტყობინებიან, რომ ელჩები და სხვა ევროპელები 20 ივლისს დარაჯთა საშუალებით პეკინიდან შანჰაიში წავიდნენ. ვაშინგტონი. გენ. ჩაფფისაგან ტიანძინიდან 21 ივლისს შემდეგი დეპეშა მოვიდა: დღეს გადაწყვიტეს კვირას დაიწყონ ბრძოლა. ჩინელები პეკინში და მის აღმოსავლეთ და დასავლეთ ადგილებში გამაგრდნენ, დანარჩენი ჩინელები გაამაგრა წყალდიდობამ ისე, რომ მისვლა მათ ადგილებში ყოველად შეუძლებელია. იაპონელები, ინგლისელები და ამერიკელები 10,000 კაცით თავს დაეცნენ ჩინეთის ჯარის მარჯვენა ფრთას მდინარიდან დასავლეთით, მათ შეველოდნენ სხვა მოკავშირეთა ჯარებიც. ფრანგები და რუსები იბრძოდნენ მდინარისა და რკინის გზის შუა ადგილებში. ექვს გარეშეა ჩინელებს გამაგრებული პოზიცია აქვთ. 24 ივლისი, გენერალი გროდკოვისაგან: დამარცხებულ ჩინეთის ჯარის მღვდრათ გაგზავნილი რაზმი გენერალი რენენკამფისა დაბრუნდა აისუნში 24 ივლისს, თან მოიტანა ორი ტყვიის სასროლი და ცხრა დროშა, რომელიც მტრისთვის წაურთმევია. ჩინელი ჯარი გაიქცა. გენერალი რენენკამფი 400 ჯარით, ორი ზარბაზნით, ცხენოსანი მოსამსახურეებითურთ ისევ გაგზავნილი იქნა ჩინელთა სადევნელათ. ვაშინგტონი. მაკ-კინლეის და სამინისტროების თათბირის შემდეგ გაგზავნა შანჰაიში მყოფ ამერიკელ ელჩს გუნოვუს დეპეშა; რომელიც ელჩმა თავის მხრივ უნდა გადასცეს ჩინეთის მთავრობას ლიხუნჩანგის, შენის და ან სხვა წარჩინებულ პირთა საშუალებით. როგორც ამბობენ დეპეშაში გამოცხადებულია რომ ომი აუცილებელია. ეს დეპეშა მიღებული იქნა, როგორც ომის გამოწვევის წინადადება, რადგანაც საქმეთა მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. იქიდანვე: კონჯერის და სხვათა მდგომარეობა საშიშია, მთავრობა ამაგრებს მათ და ჰპირდება დახმარებას.

„ილია ხონელის“ ხონში ჩამოსვენება და დაკრძალვა

ილია ხონელი გარდაიცვალა, გაისმა 13 ივლისს ხონში და ეს მეტათ საწყენი ამბავი ელვასებ მოედვა ხალხში; ნაცნობი და უცნობი ყველა და აღონა ნიჭიერი პიბლიცისტის დაკარგვამ. ადგილობრივ საზოგადოებამ მოისურვა თავის საუკეთესო შვილის პატივისცემა. ჩამოსვენების დღე დანიშნული იყო კვირას, 16 ივლისს, და აუარებელი პატივისცემელი გაეშურა ხონიდან მიცვალებულის ცხედრის მისაგებებლათ. ხალხს და ინტელიგენციას განსვენებულის კუბო მხარით მოჰქონდა. განსვენებულს ეზოში „მიესალმა“ მოხუცი დედ-მამა. ქირისუფლებს ორმოცდა-ათამდე ტელეგრამები მოუვიდათ, მათ შორის იყო: უსპენსკისაგან, ნ. ნიკოლაძისაგან, ამფითატროვისაგან, „კვალის“ რედაქტორისაგან, ნ. ჟორდანიასაგან, „ივერიის“ გამგესაგან, ს. მგალობლიშვილისაგან, ბათუმის თვითმართველობისაგან, თბილისელ მოვაჭრეებისაგან, ფოთის თვით-მართველობისაგან, ჭიათურის ინტელიგენციისაგან, თ. დიასამიძისაგან და სხვანი. განსვენების დღეს, 20 ივლისს, უკვე გათენებისას დაიწყო ხალხმა თავის მოყრა, 10 საათზე დეპუტაციებიც მოვიდნენ და 10¹/₂-ზე მიცვალებული გამოასვენა ინტელიგენციამ. პროცესია დაიძრა; თავში მიდიოდნენ ილიას ინიციატორობით დაარსებულ პროგიმნაზიის მოწაფე-ქალები, ქ. ო. ლორთქიფანიძის უფროსობით; მოწაფეებს გვირგვინები მიჰქონდათ, მათ მისდევდნენ დეპუტაციები თავიანთი გვირგვინებით: „კვალის“ რედაქციისაგან, ხონელი სტუდენტებისაგან, ხონელი ქალებისაგან, ხონელი ინტელიგენციისაგან, ხონელი მოვაჭრეებისაგან, ბათუმის ინტელიგენციისაგან, სოფლის მასწავლებლებისაგან, ნ. ნიკოლაძისაგან, ფოთის ინტელიგენციისაგან, ფოთელი ვაჭრებისაგან, სოხუმის ქართველებისაგან, გორის სამეურნეო ამხანაგობისაგან, ქუთაისის სათ.-აზნ. ბანკისაგან, ქუთაისის ახალგაზღობისაგან, ჭიათურის ინტელიგენციისაგან, თფილისელ მოვაჭრეთაგან, იმერელ ვაჭართაგან, ივანდიდის საზოგადოებისაგან, ქალების პროგიმნაზიის მთავრობისაგან, ქალების პროგიმნაზიის მოწაფეთაგან, გვარი ბახტაძეებისაგან, ირაკლი ღუნცაძისაგან, კ. ჩიქოვანისაგან, ი. ბახტაძისაგან, ნათლულისაგან, ძმები და დებისაგან, რძლისაგან... მიცვალებული დაასვენეს პროგიმნაზიის წინ, სადაც გადახდულ იქმნა მცირე ლიტია. 12 საათზე ცხედარი მიასვენეს ეკლესიაში. წირვა და პანაშვიდის გადახდის შემდეგ გრძნობიერი სიტყვები

წარმოთქვეს შემდეგ პირებმა: ქალების პრო-
გიმნაზიის მოწაფეების მაგიერ იმავე სკოლის მო-
წაფე-ქალმა მ წერეთელმა, ხონის ინტელიგენციის
და საზოგადოების ერთი ნაწილის მინდობილობით
—ვარლამ შავლიამ, თფილისელ მოვაჭრეების—იო-
სებ მერკვილაძემ, ქიათურის ინტელიგენციის—
კარპე მოდებაძემ, ქუთაისის ახალგაზდობის—სტ.
ივანე ქაჩუხაშვილმა, იმერეთის მოვაჭრეების—ბარ-
კალიამ; აგრეთვე წაიკითხეს ბ. მ. სანოძემ, შარა-
შანიძემ, ი. ბახტაძემ... ნაშუადღევის ოთხ საათზე
ხალხი უკანასკნელათ ვამბორა კუბოს და კიდევ
დაიშალა.

3. შავლია.

სიწყევა რომანომ თანხანავასი.

(თქმული ილია ბახტაძის მოსვენებაზე ქ. ფოთში)

„ძმაო ილიკო! გულს ლახვრათ მოხვდა შენი
სიკვდილი, რადგან არ მოველოდი და ეს იმიტომ,
რომ შენ ჯერ კიდევ ახალ-გაზდა კაცი იყავი, სი-
ცოცხლით სავსე, რომელსაც შეგეძლო აწი უფრო
მედგრათ, მხნეთ და მადლიანათ გაგეწია სამსახური
შენი საყვარელი და ბედ-კრული ქვეყნისთვის.
მაინცა და მაინც კაცისათვის საწყენი თითონ
სიკვდილი არ არის: ეს ხომ მხოლოდ ჩვეულებრი-
ვი მოვლენაა ჩვენ თავზე, სულ ერთია, რა წრის,
რა ხარისხისა და რა წოდებისაც უნდა იყოს იგი.
საწყენი და გულის შემზარავი სიკვდილი მხოლოდ
მაშინ არის, როდესაც მუშაკი უღროვოთ ესალმება
წუთი-სოფელს, უღროვოთ ტოვებს ბრძოლის
ველს და სიკვდილი ხელიდან აგდებინებს იარაღს,
რომლითაც უნდა გაეკაფა მას ეკლიანი გზა.

დღეს სწორეთ ასეთი უბედურება დაგატყდა
შენ თავზე. უბედურება მეთქი, იმიტომ ვამბობ,
რომ შენ ჯერ სანახევროთაც ვერ მოასწარი შენი
აზრების და სურვილის გამოთქმა, მით უმეტეს მათი
განხორციელება და ასე მოულოდნელათ კი გვმორ-
დები საუკუნოთ სახსენებელი, კაცი ნიჭიერი...

შენ ეკუთვნოდი იმ თაობას, რომელიც ამ
ოცი წლის წინეთ, 80-იან წლებში გამოვიდა სა-
ზოგადო სარბიელზე და თავი თვისი ერთიანათ
სამშობლო სამსახურს შესწირა. ამ თაობას რწამდა,
რომ ის ახალი ხანა, რომელიც მოჰყვა საქართვე-
ლოში ყმების გათავისუფლებას, ჩვენ ხალხსაც
შთაბერავდა უკვდავების სულს, გულში აუნთებდა
უკეთესი მომავლის იმედს და ეროვნული ძარღვის
ცემაც დაიწყებოდა უფრო ძლიერათ და ღრმით.
ეს იყო მიზეზი, რომ 80-იან წლებში გამოვიდა

მთელი გუნდი ყმაწვილ-კაცებისა, როგორც მათგან-
ლითათ, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე მოხსენებელი,
ბოსლეველი და შენც, რომელმაც იმ დროში უკვე
დაწყებულ ნაციონალურ მოძრაობას ნამდვილი
სამსახური გაუწიე. შენი ამხანაგები ყველანი ერ-
თათ მტლეთ დაედვენ თავის სამშობლოს და დღეს,
აი, შენც შენი ამხანაგების ბედი გეწვია... ჩვენე-
ბურ ჟურნალ-გაზეთების აუტანელ პირობებში მუ-
ღმივმა, პროფესიონალურათ მუშაობამ წელში გა-
გტეხა და მაინც შენი სანატრელი მიზანი და სა-
ტრფიალო საგანი ყოველთვის ის იყო, რომ შენი
საკუთარი გაზეთი გქონოდა ხელში.

შარშან მაისში, როდესაც შენა და ბ-ნი ივანე
ჯაბადარი „ცნობის ფურცლის“ შექმნას და მის
პროგრამის გაფართოვებას ცდილობდით, ვინ იცის,
რამდენი კეთილ-სამედო, სანუგეშო ფიქრნი და
ზრახვანი არ გაგიშლია შენ ჩემთვის. მაშინ შენ
სანდომიანს პირი-სახესა და შავს თვალებში ბრწყინ-
ავდენ რაღაც იღუმალი სასოება, სიყვარული და
იმედის სხივები. დეე, ეს აზრები და ფიქრნი საი-
ღუმლოთვე დარჩენ შენსა და ჩემ შორის. მაგრამ
ამ უანგარო, თითქმის ყმაწვილური გატაცებით
მუღმივმა საუბარმა ღრმით დამარწმუნა, რომ შენ
სულით და გულით, ტემპერამენტით, მთელი შე-
ნი არსებით ნამდვილი წმინდა ჟურნალისტი ივავი,
რომლის ნიჭიერი კალამი აზვირთებელი ცხოვრე-
ბის დუღილს უნდა ჩარეოდა ყოველთვის მხნეთ
და თავ-დავიწყებით.

შენ საკუთარ ხელობას და შენ მოწოდებას
შენ თითონ ახასიათებ შენი შევნიერი, მოქარგუ-
ლის ენით ქართული გაზეთის ერთ ფელეტონში:
„...დღეს თუ გინდა მწერლობა, ან თავისი გაზე-
თი უნდა გქონდეს, ან უნდა აქრელდე გველსა-
ვით: ხან ერთი თქვა, ხან მეორე, ხან ღმერთს
ემსახურო, ხან ეშმაკს. ვინც ამ გვართ იცვალა
კანი, მათ მდგომარეობას ძალლი არ დაჰყეფს, ვინც
არა და—ვაი იმისი ბრალი! მათი ყოფნა ათას წი-
ლათ უარესია, ვინემ მკითხველთა, რომელთაც მო-
ბეზრებიათ თავი ლანძღვა-გინებით...“

„უარესი უბედურება მწერლისა კიდევ იმაში
მდგომარეობს, რომ მის წყლულს წამალი არ უწე-
რია. მწერლობა იგი საშიშია, რომელიც ერთხელ
თუ იგემე, მუღმივ მოთხოვნილებათ გადაგეკცევა
ხოლომე; არაფერი საქმე, არავითარი ხელობა არ
ემარჯვება მისგან შეპყრობილს და რა განსაცდელ-
შიაც უნდა ჩავარდეს, მანც მისკენ უქირავს თვალი.
მკითხველი, ანუ სხვა ხელობის კაცი ახალი საქმით
შეიმსუბუქებს ჯავრს, მისთვის კი ეს გზაც დახშუ-
ლია. უნდა იყოს მიჯაჭვული ამირანსავით იმ ბოძ-

საქართველო


ზე, რომელიც ერთ და იმავე დროს მისი სიამაყეც არის და მისი ვაებაც. ამ გვართ სხვების ჯაფრთან, სხვების სატირალთან ერთათ, მწერალს მისი სპეციალურია, კიდევ უფრო მეტი, უფრო მძიმე უღელი აწევს კისერზე. მე, რასაკვირველია, ვამბობ არა ჭრელა-ჭრულა ვიგინდარებზე, რომელიც მწერლობას ჩემობენ, არამედ მათზე, ვინც მართლა ღირსია ამ სახელის და, დროთა ვითარების გამო, დარჩენილია შტატ გარეთ...“

და აი კაცი, რომელიც მხოლოდ და მარტო მწერლობისთვის იყავ მოწოდებული, რომელიც ჩვენი ერის საშინელი ტკივილით ჰგოდებდი და იმდღურებოდი, რომლის ნაწერები ივანე მაჩაბლის „დროებაში“, „ივერიაში“, „მომამბეში“, „კვალში“, ნიკოლოზ ნიკოლაძის „Новое Обозрѣние“-ში, დავით ერისთავის და, მერე, მილიუტინის დროის „Кавказ“-ში მთელი თფილისის მკითხველთა საზოგადოებაში ერთ უშველებელ ქარ-ტეხილს ასტეხდა ხოლმე, მართლაც... „დარჩი შტატ გარეთ“... ამაზე მეტი მწარე ირონია ბედისა კიდევ და შეიძლება?! მიუცილებლათ, შენ ხარ მსხვერპლი ჩვენი თანამედროვე მწერლობის უკუღმართი და უბედური მდგომარეობისა. მართალია ქართულმა ლიტერატურამ დედი-ნაცვლობა გაგიწია, მაგრამ შენ, ვით მოსიყვარულე შეიღოს და ერთგულ დარაჯს შეჰფერის, იყავ სულ-გრძელი და უკანასკნელათ, გამოთხოვების ჟამს, სამშობლო მხარეს დაულოცე თავისი ნორჩი ლიტერატურა, რათა მის ასპარეზზე მოღვაწეთა გულში დიადს, მარადის სანეტარო მიზნებს აღენტოს სიყვარულის ცეცხლი, გაეჩინოს საერთო, საზოგადო სული, ერთი საქვეყნო გაუტეხელი გული, ერთი თავ-დადებული სამსახურის ნიჭი, რომ ქართული ლიტერატურა სამერმისოთ წარმოადგენდეს ერთ უძლიერეს, უწმინდესს, უმდიდრეს და უდიადეს ძალას მთელ საქართველოს არე-მარეზე. მაშინ ეს იქნებოდა შენი დაუცხრომელი, მღელვარე სულის ლტოლვილებათა განხორციელება და შენც წყნარათ და სიამით განისვენებდი ღვაწლით-მოსილ ჩვენ მამა-პაპათა შორის...

დასასრულ, შენს დასახსიათებლათ შენი საკუთარის ცხოვრებიდან კიდევ ერთ გარემოებასაც დავასახელებ, რომელიც შუქს მოჰყენს შენ არსებას, როგორც მოუყიდველი ხასიათის და პრინციპის კაცს. როდესაც „Кавказ“-ი მილიუტინის ხელიდან ბ-ნ ვასილ ველიჩკოს ხელში გადავიდა, ახალმა რედაქტორმა თანამშრომლათ მიგიწვია შენ, მაგრამ შენ უარ ჰყავი ველიჩკოსთან მუშაობა გაზეთში. უკანასკნელათ მეგობრებმა გთხოვეს, „Тиф-

лисскій Листок“-ში დაგეწყო მუშაობა. მაგრამ რამ შენ იქ მუშაობაზედაც გადაჭრილი უარი თქვი, რადგან მაშინ, შენივე სიტყვით „ქემმარიტი მწერლის ღირსებას და სახელს უმტყუნებდი“. „Новое Обозрѣние“-შიაც შენი იმ დროის მუშაობა ხომ ყოვლათ წარმოუდგენელი იყო. ამ გვართ მთელი თფილისის რედაქციების კარები მაგრათ დაიკეტა შენთვის და შენც თფილისს—ამ საქართველოს დედა-ქალაქს და თანამედროვე ბაბილონს თავი დაუკარ და სამუდამოთ გამოეთხოვე.

ამ მცირე დახასიათებით და საუბრით საუკუნოთ გეთხოვები, ძმაო! მშვიდობით, ძვირფასო ილიკო! შენი გვამი ჯერ არც კი გაცივებულა და საფლავშიაც არ ჩაშვებულა. კრიტიკის დროც მოვა. და თუ გაუტანელი ისტორია ქართული ნორჩი ლიტერატურისთვისაც ოდესმე მოიცილის, იმედია, შენც მოგიხსენიებს, როგორც ერთ პატიოსანს და ნიჭიერ მუშა-მწერალს.



ახალი ნანა



რ მინდა, შეიღო, დაგმდერო
 ხანისა დასაძინებლათ,
 ან და აკვანი გინწიო
 ნორჩ ტვინის გასაბრუებლათ.
 მინდა სხვა გვართ დაგ-
 მდერო,
 სხვაფერ ავაწყო სიმები,
 შენი მშობლების ცრემლებით,
 მოწყუდი დახმულები.

ჩამოვკრა, დავაჯღრიალო,
 ვათქმიო იგი ხმები,
 რისთვისაც მოწყუდი ხარ,
 რაც არის შენი ბედაი.

რამ დედის რძესთან ის ხმებიც
 შეგეტკბოს, შეგეტვისოს,
 მოყვარემ მოყვრათ მიგიღოს,
 შტერმა კი შტერათ გინცოს.

რა დროს ძილია, გუნჯვა,
 რა დროს აკუნური ხანა,
 სულ სხვა ხმებია სჭირა,
 სულ სხვაგვარ ხმების ხანა.

სიცოცხლე სიკვდილსა იწვევს
სამარ-სახნუბარათა,
დალა მტრელ ხმადათ გამაქვს,
სიმატელე რკინის ფარათა.

ცოდნა და თავის შეგნება
მებრძოლთ მამწვეველ ბუკათა
და უგულა ერთათ ცხოვრების
გვირგვინათ, ბაიზადათა.

ადექი, რა დროს ძილას,
გამახილე თვალები!
იმ მებრძოლთ შენც ხმა გაეცი,
აიდე იარაღები!..

მართლა, არც ისე ბავში ხარ
შენ რომ შენ თავზე გტონია,
შენოდენ ვაჟის რძის წოვა,
ახა ვის გაუგონია!

დატოვე, შვილო, ეს ძუძუ
ხურც ღედის გინდა ფერება,
გამოდი საკუთარ გზაზე,
თავისით იწვე ცხოვრება.

ხელაგ? არტახი ვერ გიძლებს,
აკვანი გვეწირება,
თავისუფლება გწყურია,
გაგლას და გასეირნება...

მაშ, გაიდვიძე, ადექი!
გამახილე თვალები,
და მოძმეთ გვერდში მიუდექი,
შენ სხეს ვენაცვალეები!..

კ. გოგოლაძე.

ჭ ი ა თ უ რ ა

(შობებელილებანი და ფიქრები დლიურიდან).

(დასასრული)*

29.....

მუა ღამეა... აღმართზე ვდგევარ. მთვარე არ მო-
ხანს, ბნელა. ჭიათურას ჯერ მთლათ არ ძინავს, აქ-
იქ სინათლე მოხანს. ხემ პირდაპირ გაღმა აღმართული
შავი მთა შავის დრუბლებით არის მოცული და მის სა-
ხეს უფრო მოწყენილათ, დაღვრემილათ ხდის. ორ ალა-
გას ფარნები ანთია ზედ, თითქმის მისი დასისხლია-

*) იხ. „კვალნი“ № 30.

ნებული თვალები მრისხანეთ გამოიურებინა, და ასე
ეჩვენება ადამიანს, მთა გაჭაფრებული წამოჭწოლია სახლებს,
ღუქნებს, საწეობებს, ეს არის უნდა წამოქცეს და
გასრისოს ეველაფერი და ეველა, ეველა—ეს ზა-
ტარა მატლები—ადამიანები, რომლებიც მას გულში
უძვრებიან, თხრან, ჭკლეჯენ სისხლს და ხორცს,
ახანჩრებენ... ამოგლეჯენ ძალებს, ართმევენ შვილებს
და მისვე წინააღმდეგ მიამართავენ მათ...

ამ დროს დაიკვივლა მატარებელმა. თითქმის მასში
დამწვედუელმა ძალამ შეჩვილა კარშემა მთებს, ბუნებას
თავისი დამხნება და ნუგეში მოითხოვა. მთების ხვრე-
ლებმა ხმა გამოსცეს მას ენათი ჯერ მაგრათ, მერე
სუსტათ, უფრო სუსტათ, უნუგეშოთ...

ტუულიათ, ტუულიათ! ადამიანის ბატონობას შენზე
ჯერ კიდევ არა აქვს საზღვარი!..

სულ განაბული ვიდექი. ფიქრებმა გამოიტაცეს. ჩემმა
ოცნებამ წარმომიდგინა ქარხნების და ფაბრიკების ღუმე-
ლების მაღალ-მაღალი მილები, მესმოდა მანქანების ქვა-
ბების ქშენა, ბორბლების რახან-რახი... ნავთსადგურებში
ტუვა არ იყო. ცეცხლის გემების, ხომალდების, ნაგების,
ზედ ქართველ მრეწველების დროები ფრიალობდენ, გა-
დაჭქანდათ და გადმოჭქანდათ საქანელი, ეველაფერი ხმაუ-
რობდა და მოძრაობდა, ღუღდა სიცოცხლით...

დიდხანს ვიყავი ამ ტუბილ ოცნებებში...
დმერთო, დმერთო! შენ მოგვასწარი, რომ ჩვენა
ერი წელში გამაგრებულიყავს და იმედ მოცული გაიუ-
რებოდეს წინ, მხოლოდ წინ!

30.....

სასაცილო რამაა „რჩევის“ წიგნთ-საცავი: ზატარა
ოთახი, 40 წიგნი, რამდენიმე გაზეთი; ჭო, კიდევ გე-
დელზე კავკასიის რუქა და ხუთიოდე სურათი...

ეს განხვავთ „ბიბლიოთეკა მარგანეტ-მრეწველების
კრების რჩევისა“, საზოგადოებისათვის გახსნილი. დღე-
ში 5—6 კაცი შემოდისო, მითხრა ბიჭმა? ანკი რითო
უნდა ისარკებდნ ბიბლიოთეკაში? მერე ისეთ
აღაგას არის ბიბლიოთეკა, რომ ბეგრს არც კი ეხერხება
იქ მისვლა, ნამეტურ როდესაც წვიმს.

1.....

მანებზე წავედი. ეგირილის ნაპირას მივეყუბი ზე-
ვით, გზაზე ძლივს ვუვლი გვერდს ტვირთთან თუ ცა-
ლიერ ცხენებს, ვირებს და ურმებს. მდინარის ორივე
ნაპირას აქა-იქ ადის ზევით მიხვეულ-მოხვეული გზები.
მანები ზევითაა მთებზე 6—7 ვერსზე ჭიათურიდან
დაწვებული ორივე მხარეს. გზები ზოგი მოკარწყულია,
ზოგი პირვანდელი, ისე რომ ცოტადენს როგორც
წამოწვიმს, უფავად შეუძლებელია ზედ სიარული.

პირველ მაღაროში, რომელშიაც მე შევედი, მუ-
შაობა არ წარმოებდა. ზედამხედველი გავიძლოდი და შე-
ვედი შიგნით. კარგათ გავიმართე შიგ, საყენი თუ მეტი



სიფართოვე ექნება, 30 საყენამდე სიგძე. უმთავრესს გადერეიას შტოები აქვს გაყვანილი აქეთ-იქით. ზე- ვით თაღებს დირეები და სვეტები უყენია, რომ არ ჩამოინგრეს. სიგრილე იყო, მაგრამ სინოტივეს არ ვგრძნობდი მაინცდამაინც, ჰაერს სუფთა იყო. ასე ვთქვათ, აქ მუშაობა ისეთი ცუდი არ უნდა იყოს, როგორც გაგონილი მაქვს. მაგრამ მერე დაფინახე, რომ ვცდებო- დი; ამ მადარეს ორი ხვრელი ჰქონდა (ეს მეტათ იშ- ვიათია), რაც ჰაერს ამოძრავებდა; ახლა აქ არ მუშაობდენ და ჰაერი სუფთათ სუფ დაცული. მადნის ზე- დამხედველმა მახეგნა თუ, როგორ წარმოებს მუშაობა. რამდენიმე კეც-კეცათ ერთი მერგზე დაწყობილი თეთ- რი, უფარგისი ქვა, მარგანეტი, უბრალო მიწა და მარგა- ნეც არეული ქვა-მიწა. თეთრ ქვას და მიწას აქვე არჩე- ვენ მალაროში კედლის ჩამოტრეკვის დროს და მაშინვე გააქვთ ცალკე; ისე ცალკევე გააქვთ წმინდა მარგანეტი; შერეული ქვა კი გარეთ იწმინდება.

„ზამთარში ჯობია მუშაობა აქ, თუ ზაფხულში? ვკითხუბი ზედამხედველს.—ამისთანა მადაროში ზამთარ- შიაც კარგია და ზაფხულშიაც; ზამთარში სითბოა შიგ ზაფხულში კი სიგრილე. ზამთარში აქვე წვეპიან მუშე- ბი, ვერაფერი გზით ვერ გავრეკეთ გარეთ ახლა არ წვე- ბიან აქ?—ახლა ნაბრძნები გვაქვს, რომ არაფინ დაგაწვი- ნოთ შიგ...—რას იღებს დღეში ქირას მადაროში მუ- შაზე?—1 მ.—1 მ. 20 კ. რამდენ ხანს მუშაობენ?— დიდიდან სადამოდან.—ხანდისან დამეც ვმუშაობთ, ბა- ტონო, მითხრა იქვე მდგომის მუშამ, თორემ ისე არა- ფერი ვგრძობა.—რა ესარჯება მუშას დღეში თავის თავ- ზე!—15—20 კ., ჩვენებური მუშა ზურს და წყალს ჯერდება. აი ბერძნები კი ჩაის და ხორცსაც მიერთმე- ვენ, ჩვენ ისე გაძლება არ შეგვიძლია...“

მე წავუდი სხვა მადაროებში, სადაც მუშაობა იყო. დიდი ტალასი იდგა, რომელშიაც მე შევედი. ზე- ვიდან წვეთდა წყალი, მეტათ გრილოდა, უცხო ვიგრძენი სინოტივე. აქა-იქ დადგომული იყო ჭრატები, რომლებიც გზას უნათებდენ ქვის გარეთ გამოშხიდველებს. ჭრატის კვამლი სინათლეს ახელებდა. რაც უფრო შიგნით მივ- დიოდი, უფრო და უფრო ვგრძნობდი დასუფ ჰაერს. 40 საყენამდე რომ გავიარე, მუშა ურტყამდა წერაქვს კედელზე და არღვევდა ქვას. ზერანგის ამა- რა, ფეხშიშველად, მთლათ გამავებული იდგა ტალახში, სხვებზე წყლივით მოდიოდა ოფლი; გვერდზე ჭრატე- კედლა, რომელსაც მთლათ გაებურს ადგილი ბოლოთ. აუტანელათ ხდიდა ისეც დასუფ ჰაერს ეს ჭრატა... მე ვავედი გვერდზე, გავიარე რამდენიმე საყენი. მუშა ოსმა დასდო ძირს წერაქვი, დაწვა მიწაზე და დაწვაფა იქვე ჩამდგარ წყალს დასაღვეათ, რომ წამოდგა ქმინაფ- და მეტი დადალულობისკან. „ძნელი სემუშაა“?... ვკითხე.— ძნელი! მიანსუხა იმ გვარათ, თითქმის მისავე- დურებდა: აბა მაგას რა კითხვა უნდა.—ბევრს მუშაობ

დღეში?—სულ, მთელი დღე, ხანდახან დამეც მუშაობა არ ვიმუშაოთ, რაღა გვექნება. ახლაც კი ძლივს გა- მოდვიდართ 140—150 კ. ხარჯიანათ დღეში.—ორი მანეთიც რომ მოგცენ დღეში, მაინც ცოტაა თქვენთვის? ცოტაა, ცოტაა, მაგრამ ვინ მოგვიმატებს.

მესამე ალაგას მივედი. გაცხარებული მუშაობდა ერთი 30—35 წლის კაცი. მინდოდა რამე მეკითხ- ხა, მაგრამ შევხერდი, არ შევაწუხო მეთქი.

მთლათ სული შემიხუთა ჭრატების სუნმა და ბოლ- მს და გარეთ გამოვედი.

გათფლიანებული ადამიანის წყალში მუშაობა, ირგვ- ლივ დასუფი ჰაერი, ჭრატების ბოლი, დიდხანს გაუძ- ლებს ამას ადამიანის ორგანიზმი?

ასეთია საზოგადოთ მადაროები, ადვილი სემუშაო მადარო ძლიერ იშვიათია. დავათვალიერე კიდევ სხვები, ერთი მადარო 15—20 საყენზე 1 1/2 ანშინის სიმალ- ლე თუ იქნებოდა, შიგ სიარული წელში მოღუნული შე- იძლებადა მხოლოთ. აქაც ნამეტანი ნოტიო იყო, დას- შული ჰაერი და ჭრატების სუნი. არა გწევნთ ასეთ ჰაერ- ში მუშაობა? ვკითხე მუშებს. არა, მითხრა ერთმა ყოფ- მანით; ალბათ ექიმი ვეგონე და შეეშინდა;

— ეგ ჭეშმარიტია, მაგრამ აბა რა ვქნათ: ზური რითი ვიმოგოთ?..

გარეთ რომ გამოვედი, მიწაზე მუშა ბიჭი იწვა. ხშირ-ხშირ ითქვამდა სულს, სხე გამხდარი ჰქონდა. და- ლალული იყო და ისვენებდა, თუ დაავათმყოფებული, ვერ შევატყვე.

სახლისაკენ გამოვბრუნდი. გზაში მწარე ფიქრები მოსვენებს არ მაძლევენ...

(ოფლითა შენითა მოაზრვე ზური შენი! ოფლითა და სისხლითა სხვისითა მოაზრვე ზური შენი!

2.....

ცუდი დღე დაუდგა ჭიათურას: რკინის გზის ტა- რიფს მოუმატეს სამი კან.; ეს ნიშნავს იმას, რომ დღეი- დან ჭიათურა ჰკარგავს წელიწადში ერთი მილიონამდე მანეთს. ეველს რამდენჯერმე კითხულობს ამის განცხადე- ბას, რომელიც სადგურზეა გამოკრული; არა სჯერათ, ერთმანეთს ეკითხებიან, რამე შეცდომა ხომ არ არის შიგ. ეველს უფრ-ჩამოყრილი და დაღობებული დადის. ჭიათუ- რაში არ არის ადამიანი, რომელსაც ეს ამბავი არ შეეხე- ბოდეს.

დღეს ეველსაზე უფრო დაიტანჯებიან არენდატორები და საწყოების ჰატრონები. არენდატორებს ათი-ათასო- ბით აქვთ დამზადებული ქვა წინანდელ ფასებში, ახლა ამის დავგარ ფასს საწყოების ჰატრონი არ მისცემს. უფ- რო ზირდაპირი მათი ზარალი ის არის, რომ ასობით და ათასობით აქვთ ჩაღვადრებზე გაცემული ფუ- ლი, ამ ფულების დაბრუნება სუკვია ძლიერ. ჩაღვა-

დრები დაკლებულ ფასში ვერ ზიდვენ ახლა ქვას (თივა და სიმინდი ძვირია), ბევრი მათგანი გაიზარება, ნამეტურ თათრები... საწყობების ჰატრების ზარალი არ არის, რომ 24 მ. ფ. მარკანტზე მისაღობილი მოკებისას ნახევარზე მეტს ახლა რვინის გზა წაიდებს.

შემდეგში კი ეს ზარალი უგელაზე განაწილდება; უმთავრესათ დაწვება მუშებს და ჩაღვადრებს...

3.....

საბუნებროთ ტარიფის მომატება შეცდომა გამოდგა. ჭიათურა ნამეტანი განარებულა.

ბიბლიოთეკაში ვიყავი. წვიმდა. გარეთ ერთი მეგრელი იჯდა, აზნაური უნდა ეოფილიყო. ბრძნულათ ელაზარაკობდა ვიღაცას:—„სულ წაწემედილი კაცი თუ ჩამოვა ჭიათურაში, თვარა ქრისტისს აქ რა უნდა. ჯოჯოხეთია, აბა რა არის? დარი თუა, მტვერია, ბატონა, თუ წვიმს, იმისთანა ტალახია, კაცი ვერ გაივლის... ასი მანეთი რომ მომცე თვეში, აქანე რაჟა მევიცდი; აქაური ფული-ფულია!?“

საუურადღებოა; მისი ენით ლაზარაკობდა არა ერთი, არამედ ათასი. როგორც სახეზე და ტანისამოსზე ეტყობოდა, სახლში ცივი მჭადიც უჭირს, და აქ კი, ასე ფილანთოფლობდა.

საზოგადოთ მეტათ შემდარი აზრია გავრცელებული, ვითომც ჭიათურა ჯოჯოხეთი იყოს. ჭიათურა თავათ სამეოფ-საცხოვრებლათ ბევრ ადგილს არ ჩამოუვარდებს.

4.....

ორი მუშა გვეავს საწყობზე: გოგია და დავითი. ზირველი გლეხია, მეორე აზნაური. გოგია კარგათ შეწყობია ახალ ცხოვრებას, კიდევ მუშაობს, ეშმაკობაც შეუძლია, ცდილობს, ყოველივე შემთხვევა თავის სასარგებლოთ გამოიყენოს, ხშირათ იცინის, ცხუნჯობს, ხარჯში იოლათ გამოდის, დავითს იჯახბებს, კიდევ უფროსობს მასზე.. დავითს მუშაობა რადაც ვერ ეხერხება, უჩვევია, წელში მოდუნვა და წერაქვის დაკვრა უჭირს, დანაგრედივით დადის, თითქოს უგელას ემდურის, უგელაფერი ეზარება, ხარჯი ბევრი უნდება...

ბარე ორჯერ ვნახე წერაქვის ტარზე დაურდნობილი, მწარეთ დაფიქრებული. რას ფიქრობდა ნეტა? შეიძლება იკონებდა ბუნებრ წარსულს და წუევიდა დღევანდელ დროს, უგელა ამ „უბახებს“, თათრებს, ურჯულდებს, რომლებიც მის გარშემო დატრიალდებენ, ასე ათითხნილ-კათოლიანებული ფულს ეძებდენ, ერთმანეთს ეცილებოდენ.

დღეს მე და ის ცოტა ხნით მარტო დავრჩით. დადებებული გამომიშვირა მუშაობისაგან დაბუილი ხელი და შემომჩივლა: „თეთრი გამომერია და ამას კი არ მოვსწრებოვარ, თქვა და ამოიბხრა: ვადა გამოთავდეს და მერე... გოგიაც კი ჩემი ბატონი შეიქნა!..“

შემებრდა. ცხოვრების მსგელელობას განვიყვანებ კანზე და ვაი მისი ცოდვა, რომ მხოლოთ უნდა შეტირის და შეჩივლოს თავის ბედს!

უგულო, უღმობელი ცხოვრება მხოლოთ მას წყალობს ვინც მისი მონაა, მისი მოჩილი.

6.....

ქ—სში მივიღივარ; უკანასკნელ ვაგონში ჩაჯექი. ერთი მრეწველი ხუთი კაცი ალაგზე გაწოლილიყო, სხვები კი ფეხზე იდგენ უადგილობის გამო, ვერსად დამჯდარიყვენ. ასე ცხდათ არდგევიდა სხვათა უფლებებს და გაცხარებით კი ლაზარაკობდა: „რა უფლება ჰქონდა მამ ჩვენი დაუენებული კაცი რომ გადაყენა, ეს ჩვენში შეიძლება მხოლოდ, ეს ბარბაროსობაა, ასე სხვის უფლებას რომ შეურაცყოფდენ, გაგონილა სადმე!..“

ძლივს ავადრებისეს ზეზე წამოდგომა და მეტი ადგილების გათავისუფლება.

„აბა ერთი საქმე მანც მანვენეთ ხ—ის გაკეთებული!“ ჩამოვარდა ლაზარაკი შავი ქვის წარმოებაზე. — რას ამბობ, რომელი საქმე დაწვებულა, რომელი ქადაღდი დაწერილა, რომ მისი შემწყობით არ ეოფილიყოს. — დაწერას რა აზრი აქვს. მე იმდენი რამე დამიწერია, რომ დავაბუჭდინო, 40 ტომი გამოვჭა... მას ჰრატეკული თანაშემწე ეჭირვება. იგი ნამეტანი კაბინეტის და ქადაღდის კაცია, თორე...

იყო ლაზარაკი „კვალის“ და „ივერიის“ მთლეშიკაზე. ჩვენი მამების დატოვებული თამასუქები ზოგიერთები უაღბი ეოფილათ, დაგვიმტკიცეს ქადაგობდა ერთი მარცხნივ და მარჯვნივ.

7.....

ჭიათურაში მივიღივარ. ხიდზე ურმები და ცხენები ერთმანეთზე მიჭედლიდა, ტევა არ არის. ერთმა ჩაღვადარმა მოინდომა წინ გასწრება, დაეტაკა მეორეს, ესეც მცა თმაში და კინაღამ ჩხუბი ატედა.

აქ ურთიერთობა და სოლიდარობა არ ესმით ჯერ. მოვლენის ერთ მხარეს ხედავენ მხოლოთ. განსაკუთრებითი მტრობა ჩვენებურ და თათრების ჩაღვადრებსა და მუშებს შორის არის. ისე დღე არ გავა, რომ მათ შორის ჩხუბი არ მოხდეს. აქ რასაკვირველია, რელიგიოზურ და რასულ სხვა-და-სხვაობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მცირე მიზეზი გამარა, რომ დიდმა თუ ჰატარამ ესროლას რამე, ან შემოარტუას თათარს. ამას წინეთ გზაზე მიდიოდა სპარსელი ჩაღვადარი, ზევით მთაზე ჰატარა ბიჭი იდგა, ესროლა ქვა და შივ თავში მოარტუა სპარსელს, საბრალო წაიქცა; ძლივს მოიყვანეს გრძნობაში და საფათყოფოში წაიყვანეს.

თფილისიდან გამოგზავნილ განსაკუთრებითი მხელებსაც შეჩივლეს თათრებმა ამას წინეთ თავისი ასეთი ეოფა.

გზაზე საშინელი მტკვრია. ადამიანები, შირუტეები, ურმები მთლათ გამტკვრილი და გაშავებულია. დახეულ ტანისამოსში დაფუნხე მუშებს, რომ ტანზე ისე გათითხნილი აქვთ, როგორც სხე.

როგორ საჭიროა მათთვის ახანო! ახლა კიდევ—ცოვ წყალშიაც იბანებენ, მაგრამ ზამთარში თვეობით არ ეღირსებათ ტანის დაბანა.

ნუ თუ ერთი ახანოს გაკეთება გაუჭირდა „ჩვევს?“

10....

მაღე მარკანეტ-მრეწველთა კრება მოხდება ქუთაისში. დღეს მოსამზადებელი კრება ჰქონდათ აქაურ მწარმოებლებს. მათ ლაზარაკში ცხადათ გამოიხატა წვრილ (ქვის დამამუშავებლები) და მსხვილ (საწებების მატარებლები და ექსპორტიორები) მრეწველობის შორისი მტრობა. შირველებს ვერ გამოურკვევიათ კარგათ თავის მდგომარეობის მიზეზები და ეველათ „ჩვევს“ თავმჯდომარეს აბრავებენ.

აღბათ ნაკლებათ აინტერესებს ეს მომავალი კრება ჩვენ „ინტელიგენტებს“. განა მათ ამისთანა წერილმან საქმეებისთვის ცალათ! ასეთი „შავი“ საქმეები მიიზღვრის მათ ყურადღებას?

მათ სხვა საქმეები აქვთ, დიდი საქმეები: საადგილ-მამულა ბანკი, კ. ჩიკვაძე, თავად-აზნაურთა ბრწეინვალი სესსიები...

ეს კრება, ეს მარკანეტ მრეწველთა კრება, დღევანდელი თავადების კრებაა. მრეწველების წარმომადგენლები, ეს ვიღაც ვიღაცები, არიან დღევანდელი თავადები, ერის მთავარი, შრომარების, ჩვენი უკეთესი მომავლის შემქნელი. მათი საქმე საერო საქმეა, მათი კრება ეველასე უფრო მნიშვნელოვანი, ეველასე უფრო საინტერესო...



ძალა-უნებურათ მაგონდება ქუთაისის უკანასკნელი კრებები. ერთი კვირის განმავლობაში დაფობდნენ, ღაუზობდნენ, დიდ ამბავში იყვნენ. მერე რისთვის? რა გააკეთეს?..

რა უბედურებაა! ვებღაუჭებთ იმას, რაც ინგრევა, რასაც წიხლი უნდა მივაყოლოთ მხოლოდ, რომ მაღე დაიქცეს, დაიდუბოს. იმის იმედი გვაქვს, იმას შევეურებთ, რაც ანათერს გვაძლევს, თუ წავკარბთ თორემ. იმითი ვცნობდნობთ, რაც წარსულია, უნიადგო, უნაყოფოა... მერე არა მარტო „ძველები“, ძველი ტრადიციის მქონენი, „ახალ-გაზდებიც“, უნივერსიტეტში ნამყოფნი...

ეჰ! რათ არის აგრე, რომ ადამიანის საქმიანობაში ათში ერთი თუ ძლივს გამოერევა ჭკვიანური, მისი საკეთილდღეო, სხვა კი სუსულეკა, ზარალი ვნება!..

11...

ხშირათ შევხვედრივარ ერთ მუშას, ხანდახან ეს საწებობზე დაძინებულად მინახავს; მზე იყო თუ ცხელია,

ან წამწვინდა ცოტას, იმას მაინც ეძინა. უფულები მთლათ ერთიან გამურული იყო; იშვარი ტანისამოსიც ეცვა, რომ ღამე შეგხვედრდა, ადამიანი სწორეთ ეშმაკი გეგონებოდა; მოკლე და ვიწრო ტანის იყო, სხე ხმელი და გამხდარი ჰქონდა. რამდენჯერმე შემიხედავს მისთვის შირდაშირ თვალეში: ხან შებრავების თხვინას გამოხატავდნენ ისინი, ხან ბორბტებს, მოჟღავრებას...

12...

სიზმარი ვნახე. მთავე ვიყავი ოთახში. ფანჯრადან მოხანდა მთელი ჭიათურა თავის საწებობით, თავლებით, დუქნებით. აღიოდნ და ჩამოდოდნ მთებიდან ცხენები და ურმები. ეშმაკებივით გამურული ქართველი, თათარი, სხარსელი, ოსი, ჩაღვადარი, დამტვირთველი, შავი მუშა ერთმანეთში ირეოდნ; ისიოდა ბზუილივით ხმა, ჩხუბი; დრო გამოშვებით დაუსტვენდა მატარებელი. შორს ვხედავდი მადნებს, დაოფლიანებულ მუშებს გამომტკვრილათ მადარობიდან კარეთ შავი ქვა, მათი ავანთყოფური სუნთქვა ჩემამდის აღწევდა და კვნესათ მეჩვენებოდა...

ოთახი ძვირფასათ იყო მართული და შეენიერი ევაილები შეამკობდა მას. შუაში სტოლი იდგა გაწებობილი. უფულები ძვირფასი სასმელ-საჭმელი ეწებებოდა. თვალეები ტკებოდა, ნერწვი მომდიოდა, რომ ვუტქვრდი. მშიოდა, და მინდოდა ხელი გამეწვინა, ამელო რამე, მაგრამ ეველავერს ამას ისეთი უსიამოვნო შესახარი სუნი ჰქონდა, რომ გული უკან მიმიწევდა და ვერ ვბედავდი ხელის განძრევას.

სტოლს კარწემო ოთხი კაცი შემოსხდომდა. ვერ ვიცანი, მაგრამ აქაური მწარმოებლები კი უნდა ეოფილიყვნენ. ვინ რა ერის იყო ვერც ეს გავარჩიე. ოთხივე ერთგვარათ ჩანუქებული იყვნენ, მუცლები წინ წამოსვლილათ, სველ-სველი თითები მთლათ ბაღნით ჰქონდათ დაფარული, წვრილ წვრილი თვალეები გაურბოდათ და გამოურბოდათ აქეთ-იქით. მათი სხე არ გამოხატავდა არაფერს, კარდა სიმსუქნისა.

გამწარებულნი აიღებდნენ ღუკმას, დაჰკრავდნენ ზედ ერთ კბილს და თითო სტაქან ღვინოს დაეოფლებდნენ...

კუთხიდან კვნესა მომესმა. მივიხედე: ძირს შავი ეშმაკი ეგდო, გამხდარი, მარტო ძვალი და კანი; დაფულები ჭინჭი უფარავდა ქვედა ტანს. ნამეტანი დატანჯული, სსოწარკვეთილი სხე ჰქონდა; იგრისებოდა; ცრემლებით შემომხედა, თითქოს მოწვალეებს მთხვოდა, როგორც მშიერი ავანთყოფი ძალი ნურს მოითხვოს ხოდმე. სტოლზე მჯდომნი რომ ღუკმას აიღებდნენ, მას თითქოს ჩანვლით ხორცს ჰგლეჯდნენ სხეულიდან, ისე შესტებოდა და დაიკვნესებდა ხოდმე; ღვინოს რომ დაღევენდნენ; თითქოს მას სისხლს წოვდა ვინმე და ის დონე მოხდილი, უგრძობლათ დაეცემოდა.

შემეშინდა, გამიკვირდა. სატანა და ასეთ უფოფაში?!

კიდევ შემომხედა ეშმაკმა, მერე სუფრაზე საჭმელს გადახედა და კვლავ მომიბრუნდა მე. ცხადთ წავიკითხე, მის თვალებში: ეს ხორცია ჩემი და სისხლიც...

ახლას მივედი, დავაკვირდი, თვალებში ჩავახერხე...

უცებ შევკრთი, თითქოს რაღაცამ დამკრა თავში, ეს სატანა არ იყო...

გამომეღვიძა, ფანჯარას ვკარი ხელი, ოთახში დასუთული ჭიკრი იდგა. დილის ნიაშმა ტკბილათ გადამკრა სახეზე და მაშინ დამეძინა მხალთ მისვენებით.

S—II.

ლია წეროლი

(„კვალის“ რედაქციის მიმართ).

ჭიათურის კამოგზავნილმა ზრატესტმა მთელი ქარტახი დაუყენა „ივერიის“ ბანაკში. ერთმა მისმა მებარადტრე „ჩიორამ“ ვეებერთელა ზასკვილი შეთხზა ჩვენდამი მომართული. ჩვენ თავის დროზე ზასუხიც მივეცით ჩიორას და მის კლიენტს ბ. ტ.—ის და შოვთხოვეთ კამოგვეფლოდენ სამედიკატორ სამართალში, რათა შეძლება მოგვეტოდა ადგვედგინა ჩვენი სიამართლე, მაგრამ ისინი დღემდე სდუმან და ეს ხომ მოგვსენებათ რისი ნიშნია?

გავიდა ზატარა ხანი და ბ. კ. წ.—ლმა კიდევ უფრო საზიზღარი ცილი დაგვწამა, ვითომ მე ჭიათურის კამოგზავნილ ზრატესტის წინააღმდეგი ვეფთვილიყო და ხელი გაბრევივით მომიწეროს ზედ. ბ. კ. წ.—ლი ბრძანებს, რომ ჭიათურის „ზრატესტანტები“ ჩემი კარგი ნაცნობებია; ამაზე მოგახსენებთ შემდეგს: რაც შეეხება ჩემ მხანაგებს, შეიძლება ეს ასე იყოს, მაგრამ თუ ჩემი ნაცნობიც ბრძანდებოდათ, არ მეგონა; ბ. კ. წ.—ლ, მე სწორეთ უკმაყოფილებას ვაცხადებ თქვენ კერეთ ნაცნობობაზე, რადგან დღემდის, უნდა გამოვტედე, არ მქონია ზატეფი თქვენი ცნობისა, და მოდი ამას შემდეგ და ნუ გამიკვირდებათ თქვენ მიერ ასე თამაშათ წარმოთქმული სიტყვები თქვენ უმარჩილეს მონაზე. „სამდურავი განაცხადეს თავის თავისა ბ. კვიანისა და ჯანელიძემ. მოგტეუვით, შევცდით, რა ჩვენი საქმე იყო, და სხვა... ნეტა სიზმარში იყავით, თუ არა, ბ. კ. წ.—ლ, რადესაც თქვენ ამ სიტყვებს წერდით? თქვენ სწორეთ ერთი იმ „შეგნებულებათაგანი უნდა ბრძანდებოდეთ, რომლებზედაც ასე თავმომწონეთ გვითითებენ ბ. ტ. ქ.—ქ თავის მონაწერში. თუ ეს ასეა, სწორეთ დიდი მადლობის დიხსია თქვენი მხრივ ბ. ტ. ქ.—ქ, რომელმაც ამნაირი ამაუი სახელით მოგხათლათ. ძმა ბიჭიც სწორეთ ამისთანა უნდა, მე და ჩემმა

დმერთმა! (როგორც შევიტეე, ბ. კ. წ.—ლი დამეძინა.) ჩემი მხრითაც დავძენ და ვიტყვი, რომ მართლაც დიდათ შეგნებული უნდა იყოთ, რომ არ შეცდით და ზრატესტზე ხელი არ მოაწერეთ მაშინ, რადესაც იმ ზრატესტის „დაბადება“ და „მონათვლა“ თქვენ კარგათ იცოდით. თურმე, თუმც თქვენთვის მასზე ხელის მოწერა კი არავის არ უთხოვია. მაგრამ, რას ვაზობ, ხელი რომ მოგეწერათ, მაშინ ხომ არც შეგნებულათ მოინათლებოდათ. შეიძლება ბ. კ. წ.—ლ, ჩვენც ეს სახელი დაგვკმეფოდა, რომ „კვალის“ რედაქციის მიგივრათ „ივერიის“ რედაქციაში კამოგვეზავნა ჩვენი წერილი და ბ. ახლამოსული ქებადიდებით მოგვესენებთ; დაგარწმუნებთ, რომ ეს ასეც იქნებოდა და მაშინ ჩვენი ზრატესტიც არავის არ გაუკვირდებოდა, მაგრამ დეე, რაც გინდათ, ის გვიწოდეთ, ბ. ჩიორებო, კ. წ.—ბო, ტ. ქ. ეებო, ჩვენ კი ჩვენ მიერ არჩეულ გზიდან ერთ წუთსაც არ გადავუხვევთ და ჩვენ აზრს და შეხედულებას ვეფელთვის ვიქონიებთ. მოწმეებს მისახელებთ, რომლებიც წინაშე მე, თქვენ უმარჩილეს მონას, ვითომ და უნდა შეფრქვიოს „ნიანვის“ ცრემლები, იმის გამო, რომ ზრატესტზე ხელი მოვაწერე. მეც მივმართავ თხოვნით თქვენგან დასახელებულ ზირებს და ვთხოვ საქვეუროთ გამაცხადონ, მიმიძღვის თუ არა ის დანაშაული, რომელსაც მე კ. წ.—ლი მბრძანებებს?

კ. კვიანი.

მუშტაიდში

მზემ უკანასკნელი სხივები შეტყორცნა დედამიწას და დასავლეთით მთის მწვერვალს ამოეფარა. სიცხისაგან სულ განაბული თფილისი ახმაურდა და ბალებს მიაშურა. ამ პაპანაქება სიცხეში, როცა ყველაფერს ცეცხლი ეკიდება და აღმური ასდის, ბაღში, ამ ქალაქის „ოაზისში“, იბრუნებს ხოლმე ადამიანი სულს. აი ჩამოიქროლა მდიდრულმა „ლონდომ“, რომლის პატრონს რაღაც მანქანებით ვერ მოუხსწვრია სააგარაკოთ ვასვლა და ძალა უნებურათ მსხვერპლი გამხდარა თფილისის სიცხეებისა. უზარ-მაზარ ცხენების ფეხთა თქრიალი შორს მანძილზე ისმის და წინათვე აფრთხილებს მგზავრს გზა დაცალოს, განზე გადადგეს. მიქროლავს ლონდო, გამალებული ჰაერს აპობს, ხელოვნურ ნიავს ქმნის, შიგ მსხდომთ შუბლს უგრილებს.

აი კობტა „შარბანი“, „ლონდოს“ უკან დადევნებია, ეჯიბრება, გასწრებას უპირებს. ეტლს თითონ პატრონი მართავს—გულს აყოლებს, ერთობა. „შარბანს“ ეტლები მოსდევან, აგერ

„კონკაც“ მოსრიალეებს, ამაში უფრო „წვრილები“ სხედან. ამათზე უფრო „წვრილები“ ფეხითაც მოჩანჩალებენ. ნიკომაც გააღო თავის ოთახის კარები და მუშტაიდისკენ გაუდგა. ახლათ ეშლებოდა ნიკოს წვერ-ულვაში, როცა თფილისში ჩამოვიდა და შრომის უღელში შეება. ის იყო და ის — მას აქეთ ის ერთგულათ ეწევა ამ მძიმე ქაპანს. მან ყოველივე კავშირი გაწყვიტა სოფელთან, განსაკუთრებით მას აქეთ, რაც ძმებს გაეყარა და ერთი ქცევა მიწა და ბელის უკანა კედელი, რომელიც მას ერგო, იმათვე შეაყიდა. გარეგნობით ლამაზმა და მხიარულმა ქალაქმა მოაჯადოვა ახალ-გაზდა ჯანლონით სავსე მუშა; გარს-შემორტყმულმა ფუფუნება — სიმდიდრემ აღუძრა სურვილი თვისი ცხოვრების გაუმჯობესობისა. ხშირათ ოცნებობდა ნიკო, თუ როგორ მოაგროვებს ფულს, საკუთრებას გაიჩენს, დაცოლშვილდება და, ვინ იცის, იქნება ბედმა ისე გაუღიმოს, რომ თითონ გახდეს მბრძანებელი ასი და ორასი მუშისა. ასე ოცნებობდა ნიკო და დღე და ღამეს ასწორებდა მუშაობაში; ის მუდამ თავს დასტრიალებდა რთულ და ეშმაკურ მანქანებს და მათ სტვენა-შუილში ხვევდა თავის იმედებს.

თვე თვეს მისდევდა, წელიწადი წელიწადს; დღე და ღამე გაფუჭებულ, მოშხამულ ჰაერში ტრიალს ვერ გაუძლო სოფლის მთა-გორიან ადგილებში აღზრდილმა ორგანიზმმა; გამუდმებულმა შრომამ და ძალღ-უმადურმა ცხოვრებამ თავისი გაიტანა — ნიკოს ქლექის ნიშნები დაეტყო. ხშირათ მოუვლიდა ხოლმე ნიკოს რაღაც უცნაური ხმელი ხველა და სულ ერთიანათ მოშლიდა, მოადუნებდა. ორივე ხელებით მიეყრდნობოდა ის ამ დროს უზარმაზარ მანქანას და მიმქრალი თვალეებით მიაჩერდებოდა მის მოუსვენარ ბორბლებს, თითქო ემუდარება — ნუ მიშხამავ უკანასკნელ წუთებს, მომიშორე თავი დამო! მაგრამ მანქანას კლდის გული აქვს, მას ვერ მოალობს ადამიანის ტანჯვა-ვაება. ის ისევ, ვითომ აქ არაფერიაო, ტრიალებს, შუის და თავის ძლევა მოსილი ხმაურობით ჰფარავს ნიკოს კენესას — არავინ შეაწუხოსო.

დღე დღეზე დრებოდა ნიკო, მაგრამ თავი მაინც ვერ დაეღწია ამ მისთვის ჯოჯოხეთ ადგილისათვის. — ჰაერი! წმინდა ჰაერია შენი მკურნალი, ეტყოდა ხოლმე ნიკოს ექიმი, — მუშაობას თავი დაანებე, იცხოვრე თავისუფლათ, ურჩევდა ხოლმე ის. თავისუფლებასზე ფიქრი ნიკოსთვის სულ უსაფუძვლო იყო. წმინდა ჰაერით კი შეიძლება

კვარაში ერთხელ მაინც ვისუნთქო, ფიქრობდა ნიკო; ჰაერი სასყიდელი როდია, ვერავინ დაშიქვრს! აი დღეს ნიკო მუშტაიდისკენ მიემგზავრება, უნდა ექიმის რჩევა აასრულოს. მიხმაურობს თფილისი ბალისკენ, და ნიკოს გზაც იქითკენ არის.

ის იყო მთვარემ მორცხვით თავი ამოჰყო და ცის აღმართს შეუდგა. მისი ფერ-მკრთალი სხივები ხის დაბურულ ფოთლებში ცეცქათ გაძვრა-გამოძვრა, ბალში გაიბნა და მის ვიწრო ბილიკებზე საუცხოვო სახეები დახატა; მერე იქვე მოდულუნე მტკვარს გადახედა და მის მშფოთავ ტალღებში ტანი იბანა. აივსო ბალი. დღეს საქველმოქმედო აზრით ბაზრობაა აქ გამართული. აქა-იქ კეკლუცთა სავაჭრო გაუმლიათ და მომჯადოებელი ღიმილით მოსეირნეებს სავაჭროთ იწვევენ — იყიდეთ ჩემგან რამე, — ტკბილათ ჩაგჩურჩულებს ის და ისე ახლო მოიტანს თქვენთან თავის შვენიერ ტუჩებს, რომ ტანში სიამოვნებით ყრუანტელი დაგივლისთ. ამ მაცდურებმა. კარგათ იციან მამა-კაცის სუსტი მხარე. ბალის ერთ მხარეს „ბუფეტია“ გამართული და მის გარშემო კუჭის საქმეს შედგამიან; იქვე სამხედრო მუსიკა სმენას ატკბობს. ზოგი საერთო ხმაურობას მოშორებია, წყვილწყვილათ განზე გასულა და შორს, საღდაც ბალის მივარდნილ კუნჭულში ყელი-ყელს გადაუჭდიათ, დავიწყებას მისცემიან. ნიკომაც მიაღწია ბალის კარებთან, საღაც რამდენიმე მყუდროების დამცველი დაინახა. ის მაშინვე მიხვდა, თუ რაში იყო საქმე და შემკრთალი იქვე გაჩერდა. დარაჯმა მკაცრათ ხმლის ბოლო აუქნია, ვითომ — განაგრძე გზა, აქ მეტი ხარო. ნიკომ დარაჯს თვალი აარიდა და იქვე მდგომ ერთ ქველ-მომქმედთაგანს მიმართა: „განა უფასოთ არ შეიძლება ბალში შესვლა?“ — „რასაკვირველია არა!“ გაკვირვებული კილოთი მიუგო ქველ-მომქმედმა. „როგორ, განა ჰაერთაც ვაჭრობთ?!“ შეეკითხა კიდევ უფრო გაკვირვებული კილოთი ნიკო. ქველ-მომქმედი ცოტა არ იყოს დაიბნა, მას თავში არ მოსვლია, რომ დღეს მართლა ჰაერით ვაჭრობდენ მუშტაიდში. — „რა მერე?!“ ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ შეეკითხა ისევ ქველ-მომქმედი, თუნდ ჰაერსაც ვყიდდეთ, ეს ხომ საქველ-მოქმედო მიზნით არის! — „საქველ-მოქმედო მიზნით“! ხრინწიანი ხმით გაიმეორა ნიკომ და თავის მოპასუხეს ზიზლით აღსავსე თვალები მიაპყრო. ოჰ, რანაირათ ძულდა ამ წუთში ნიკოს ეს ფრანტი ქველ-მომქმედი, რანაირათ უნდოდა მისი დამარცხება, მიწასთან გასწორება.

„თქვენი ქველ-მოქმედება იმაში მდგომარეობს,— ბრახ მორეულ ირონიით დაიწყო კიდევ ნიკომ, რომ ერთს ჰაერს ართმევთ და მეორეს წაღებს აც-მევთ! თქვენი ქველმოქ... აქ ნიკომ ველარ დაას-რულა სიტყვის თქმა, ერთი ღონიერათ დაახველა და პირიდან შადრევანსავით სისხლი წამოსკდა. ფრანტმა უკმაყოფილოთ ტუჩები აიბზუა და ბა-ლისკენ მიტრიალდა. ამ დროს სამხედრო მუსიკამ „კარ-მენი“ დაუკრა; ბალი უფრო გაცოცხლდა, გამხია-რულდა. იქ, სადღაც ბალის მივარდნილ კუნჭულ-ში შეყვარებული ბაგენი კვლავ ტკბილათ შეეხენ ერთმანეთს; მოქეიფეთ ღიღინით ხმა მისცეს მუ-სიკას, და ახალ-გაზდა ქალ-ვაჟთა მხიარული ტკრცი-ალი შექნეს. ნიკოს ისევ ხამუშ-ხამუშ სისხლს აღებინებდა.

ნატო.

წამილი ჩადაქციის მიმართ

მოვალეთ ვთვალი ჩემ თავს გამოვაცხადო, რომ კარზე მოვდებდეს მე სრულიად არ გავუბრეფებოვარ, არც ძა-ლით ხელი მოუწერინებია ჩემთვის, როგორც ამას ჩიორა გვწამებს, არამედ ჩასაცვცნობდი და მრწამდა სიმართლეთ მას მოვაწერე ხელი ჩემი ნებით, ჩემი სურვილით და არა ძალდატანებით ან გაბრეფებით.

დ. ყვირილა.

რ. ჩიხლაძე.

„კვალის“ ფოსტა

მ. ი. ძ—ძმს: თქვენი ლექსი—„ჩემი წარსულიდან“ არ დაიბეჭდება.

ბ. ანოსპირალს: თქვენი ლექსები: მეგობარს, კვლავ წუხილი, ბავშვთა მიმართ და გიგლო და ჩიტი არ დაიბეჭდება.

გიორგი წერეთლის მოთხრობა

ოცი წლის წინათ

გამოვიდა ცალკე წიგნაკათ. ფასი 5 კაპ.

ჩვენი კველი გვირგვინი

თხზულება გ. წერეთლისა.

ფასი 30 კაპ.

იყიდება „კვალი“-ს რედაქციაში (არტილლოერიის ქუჩა № 5) და წერა-კით. საზ. წიგნის მალაჩიაში. ქუთაისში მიტროფანე ლალიძესთან.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მისი თანადასწრებით ამ წლის აგვისტოს 1 ღს შუა-ღდის 12 საათზე დანიშნულია სა-ჯარო ვაჭრობა ქალაქის სახლის კედლების ჩუქურთმების შეკეთებისა, შეღესვისა და შეღების იჯარით გასაცემათ ვრე-გინის მოედნისა და ველაშინოვისა და განგვის ქუჩებზე, სულ 1200 მანეთისა. ვაჭრობის მსურველთ ზირობების შეტეობა შეკდიათ ქალაქის სამმართველოს ამშენებელთა განყოფილებაში, ეოველ დღე კვირა უქმეებს გარდა დი-ღის 9 საათიდან შუაღდის 3 საათამდე. (1—1)

თფილისის ქალაქის მმართველობა ამით აცხადებს, რომ მისი თანა დასწრებით ამ წლის 2-ს აგვისტოს, დღის 12 საათზე მოხდება ვაჭრობა იჯარით გასაცემათ ელიზავეტის ქუჩის მოკირწყელისა—ქალა-ქის სანერგე ბაღიდან დაწებული დიდუბის ეკლესიამდე—სიგრძით 1021 ობს-კუთხი საყენი;—სამუშაო სულ 3575 მ. იჯარის ადების მსურველთ შეუძლიათ ზირობე-ბის შეტეობა ქალაქის გამგეობის ამშენებელთა განყო-ფილებაში ეოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, დღის 9 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე. (1—1)

თფილისის ქალაქის მმართველობა ამით აცხადებს, რომ მისი თანადასწრებით ამ წლის 2 აგვის-ტოს დღის 12 საათზე მოხდება ვაჭრობა იჯარით გა-საცემათ ალექსანდროვის ბაღის დობის შეკეთებისა მაგ. გადაკეთება ქვითკირის კედლებისა და მისი სძირკვე-ლისა, აგრეთვე შეკეთება რკინის მოაჯირებისა და მათი შეღებვა; ახალი სვეტების დადგმა და მოაჯირის რკინით შეკვრა. სამუშაო სულ 3,000 მანათისა. იჯარის ადე-ბის მსურველთ შეუძლიათ ზირობების შეტეობა ქალაქის გამგეობის ამშენებელთა განყოფილებაში ეოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, დღის 9 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე. (1—1)

„კვალის“ და „ჯაჯილის“ ჩადაქციაში

იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები:

თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ. (გასაცხ. 50 კ.)
 ალბომი „ბუნება სურათებში“ ედ. 1 მ. 20 კ. (გასაცხ. 20 კ.)
 ზატანა ღორდი 30 კ.
 ჩუენი ძველი გვირგვინი 30 კ.
 თეთრი და ზანგი 15 კ.
 სოფამონ შეიფე 10 კ.
 არი მოთხრობა ეგ. ჩინოშვილისა 10 კ.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.